# სახალხო გაზეთი

№ 621 კვირა, 10 ივნისი, 1912 წ. № 621

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში, ყოველ-დღე, [illegible] გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთ [illegible]

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

## ამ ნომერში ექვსი გვერდია.

### მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზევე ღირს 40 კაპ. შეიძლება მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . . და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე . **უფასოდ.**

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიათ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეხალი.

**„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.**

---

„სახალხო გაზეთი“-ს რედაქცია მკითხველთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ განსვენებულ

**იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის**

გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან მოხდება დღეს, 11 ს., წირვა დაიწყება 8 ს.

---

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ „საზოგადოების“ საპატიო წევრის

**იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის**

დაკრძალვა დანიშნულია 10 ივნისს, კვირას, წირვა და ანდერძის აგება მოხდება ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველ დღე ქვაშვეთის ეკლესიაში, საღამოს 8 საათზე. (7—1311—7)

---

**გამგე კომიტეტი ღარიბ მოწაფეთა შემწეობისა, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა და ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო** აცხადებენ, რომ განსვენებულ

**იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის**

სულის მოსახსენებლად დანიშნულია პანაშვიდი ყოველ დღე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საღამოს 8 საათზე, დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის ეზოში კვირას, 10 ივნისს. (2.1326. 2)

---

**ეფემია, შალვა, ალექსანდრე, ანნა, ანეტა და სხვანი** ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 1 ივნისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი ძმა, დანარჩენების ძვირფასი ბიძა

**იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი.**

პანაშვიდი ყოველ დღე, სალამოს 8 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა კვირას 10 ივნისს, დიდუბეში. (3—1314—3)

---

**ტფილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოება**

მწუხარებით აუწყებს ტფილისის ვაჭრებსა და საზოგადოებას დიდებული მამულიშვილისა და გამოჩენილ პედაგოგის

**იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა დანიშნულია დღეს, 10 თიბათვეს. წირვა და ანდერძის აგება მოხდება ქვაშვეთის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა დიდუბის ტაძრის ეზოში. წირვა დაიწყება დილის 8 საათზე, გამოსვენება 11 საათზე. (1.506.1)

---

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო

**ჟურნალ „განათლების“ რედაქცია**

აცნობებს მკითხველებს ჩვენი ცნობილი **პედაგოგის** საზოგადო მოღვაწის

**იაკობ გოგებაშვილის**

გარდაცვალებას, ივნისის 1-ს, ნაშუადღევის 6 საათზე. დასაფლავება მოხდება კვირას, 10 ივნისს, დიდუბის ეკლესიის გალავანში. (3—1312—3)

---

**ქართ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს რომ

**იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის**

დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას, 10 ივნისს, დიდუბის ეკლესიის გალავანში, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვისა და ანდერძის აგების შემდეგ. წირვა დაიწყება დილის 8 ს. (1.1329.1)

---

**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება

**იაკობ გოგებაშვილის**

**შემდეგი წიგნები:**

- ასპინძის ომი . . . . ფასი 7 კ.
- ბურჯი ეროვნებისა . . . „ 20 „
- იავნანამ რა ჰქმნა? . . . „ 5 „
- თავდადებ. ქართველნი . . „ 7 „
- მოსავლის მცველნი . . . „ 20 „
- მეფე ერეკლე და ინგილ. ქალი „ 5 „
- რანი ვიყავით გუშინ? . . „ 20 „
- რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები „ 1 — „
- საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრის . . „ 10 „
- სხივი წარსულისა . . . „ 5 „
- Методика къ русскому слову для учащихъ . . . . „ 40 „
- Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку . . „ 50 „
- Нормальное письмо . . . „ 20 „
- Правда о Тифлисѣ . . . „ 20 „
- О Грузинскомъ и русскомъ алфавитахъ . . . „ 20 „
- Какъ улучшить Кавказскую народную школу . . . „ 30 „
- Къ вопросу о мингрельской Начальной школѣ . . „ 20 „
- Государственный языкъ . „ 30 „
- Очеркъ сравнительной грамматики груз. и рус. языковъ „ 20 „
- Къ вопросу о поднятіи уровня образованія среди грузинскаго дворянства . . . „ 50 „

ამ წიგნებში ვინც ხუთს ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 20 პროც.
ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред. груз. насел. (წ. 1141.61)

---

## ხალხის მასწავლებლის სამარის წინ

დღეს ვასაფლავებთ ადამიანს, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო მთელს საქართველოს. ერთის შეხედვით თითქოს მას არაფერი დიადი, გრანდიოზული არ შეუქმნია. მაგრამ განა რომელიმე საქმე შეიძლება თავისი სიდიადით შეედაროს იმ დიდებულ საქმეს, რომელსაც თითქმის ნახევარ საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა განსვენებული გოგებაშვილი? სახალხო განათლება, წერა-კითხვის გავრცელება ხალხში,—ეს ხომ უძვირფასესი და უპირველესი მოვალეობაა თვითეული ქართველისა!

და იაკობ გოგებაშვილიც თავგამოდებით დაეწაფა ამ საპატიო შრომას. ერთს მილიონ ცალზე მეტი გავრცელდა ხალხში მისი წიგნები. ერთმა მილიონმა წიგნმა გაიარა თაობათა ხელში; სამშობლო ენის სახელმძღვანელოები შეიჭრა სოფლებში, შეიტანა შუქი განათლებისა, საძირკველი ჩაუყარა ხალხის გათვითცნობიერების საქმეს.

დღეს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე აღზრდილი მრავალი თაობა უკანასკნელად ეთხოვება ჩვენი ქვეყნის უერთგულეს გულ-შემატკივარსა და მოამაგეს. ეთხოვება ადამიანს, რომელსაც წრფელის გულით უყვარდა თავისი სამშობლო, რომლის თვითოეული ძარღვი ჰფეთქავდა მამულისადმი სიყვარულით. უკანასკნელ წუთამდე მის ერთად-ერთს საზრუნავს შეადგენდა ყველაფერი, რასაც ცოტაოდენი გაუმჯობესება მაინც შეჰქონდა ჩვენს დუხჭირს ცხოვრებაში.

დღეს უკანასკნელად ვეთხოვებით სამშობლოს მოამაგეს—ხალხის მასწავლებელს.

დაე ეს გამოთხოვება გადაიქცეს სტიმულად ჩვენის გაერთიანებისა სამშობლო ენის ინტერესების დაცვაში. დაე თვითოეული ჩვენთაგანი გაიმსჭვალოს იმ აზრით, რომ საჭიროა ერთსულოვნობა იმ საქმეში, რომელსაც განსვენებული გოგებაშვილი ემსახურებოდა.

საუკეთესო დაფასება მისი მოღვაწეობისა ეს იქნება.

**არ. ჯ—შვილი.**

## წმინდა საფლავის წინ

ლაპარაკი კი არა, ქვითინი, ქვითინი მინდა ი. ს. გოგებაშვილის საფლავის წინ. როდესაც ჩემს მრავალტანჯულ სამშობლოს ბედზე ვფიქრობ, აზრი მაშინვე ჩერდება ისტორიულ სახლებზე: ი. გ. ჭავჭავაძეზე, დ. ზ. სარაჯიშვილზე, ნ. ზ. ცხვედაძეზე და ი. ს. გოგებაშვილზე.

როგორ ფართოდა და მრავალ ფერად აღიბეჭდა ჩვენს ცხოვრებაში მოღვაწეობა ჩვენი ეროვნული თვითცნობიერებისა, მწერლობისა, საზოგადოებრივობისა და განათლების წინამორბედთა!

თუ ბედნიერნი იყვნენ ჩვენი ქვეყნის მოამაგეთა თანამედროვენი, სამაგიეროდ უბედურნი ვართ ჩვენ, რომელთაც მუხთალმა ბედმა გვარგუნა მათი დასამარება. მე მრწამს ევოლიუცია ეროვნულ გენიოსობისა, მრწამს, რომ ამ პიროვნებებში აღიბეჭდა ქართველ ერის სული, რომელმაც მრავალი დიდებული პიროვნება წარმოშობა ჩვენი ისტორიული ცხოვრების ასპარეზზე. ამაშივე ვხედავ საფუძველს ჩემი ერის უკვდავებისას...

კერძოდ ი. ს. გოგებაშვილზე ამბობენ, დიდებული პედაგოგი იყო, შეჰქმნა მშვენიერი სახელმძღვანელოები, დარაჯად ედგა სამშობლო ენასაო. მაგრამ ყველა ეს ძალიან სუსტად ახასიათებს გოგებაშვილს. იგი უპირველესად ყოვლისა იყო ადამიანი, რომელსაც ღრმად სწამდა თავისი ეროვნული საქმე. „ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ერს,“ დაისახა დევიზად და სიმბოლოდ სარწმუნოებისა ერთმა მათგანმა; ამ დევიზს ემსახურებოდა მთელი პლეადა ჩვენი უდიდესი მოღვაწეებისა.

იყო დრო, როდესაც ეროვნული ცხოვრების მაჯის ცემა შეჩერდა: გაიყინა საზოგადოებრივი მოღვაწეობა, სისტემატიური სალიტერატურო შემოქმედება. ორს-სამს დაბეჭდილ წიგნსაც კი ვერსად შეჰხვდებოდით! მხოლოდ სამშობლო ერის ბრწყინვალე ისტორიულ მომავალის რწმენას შეეძლო იმისთანა დროს აღეფრთოვანებინა სულით რაინდნი საზოგადოებრივ სამსახურისა და ეროვნულ შემოქმედებისთვის. წავიდნენ, მაგრამ ჩვენ გვიანდერძეს იგი წმინდა რწმენა. ჩვენთვის უკვე ადვილია რწმენით გატაცება, რადგანაც ამ რწმენას ქვაკუთხედად უდევს მათი დიდებული წარსული.

ი. ს. გოგებაშვილს ღრმად უყვარდა თავისი სამშობლო, და ეს სიყვარული შედეგი იყო არა მარტო რწმენისა, არამედ შეგნებისაც, რომ მრავალ ტანჯულებს აქვს უფლება და საშუალება არსებობისა. ჩვენ ყველას იქნება ფრიად ამაღლებული იდეალებიცა გვაქვს, მაგრამ ჩვეულებრივად ცხოვრებაში მხოლოდ მიწიერ იდეალებს ვემსახურებით. იაკობ გოგებაშვილის კერპი კი იყო სამშობლო, იდეალი—მისი სამსახური. მას არა ჰქონია სხვა რამ მიზანი, თვინიერ სამშობლოს სამსახურისა; არა ჰქონია სხვა მწუხარება და სიხარული, თვინიერ მის საყვარელ ხალხის მწუხარებისა და სიხარულისა.

ამ სიმაღლემდე კი მხოლოდ რჩეულნი თუ ასულან...

იაკობ სვიმონის ძე ბროლივით სპეტაკი ადამიანი იყო. ჩვენს დროს, ყოველ-გვარ კომპრომისისა და კერძო ფუფუნებით გაჟღენთილ დროს, ასეთი სპეტაკი ადამიანის სახე უფრო ძვირფასი და საყვარელი ხდება...

მან კარგად შეითვისა ძველი თქმულება, რომ Concordia parvae res crescunt, Discordia maximae dilabuntur, და ამიტომ მხურვალე დამცველი იყო ერთობისა და ურთი ერთის ნდობისა საზოგადოებრივ სამსახურის ასპარეზზე. კერძო ცხოვრებაში იგი განდეგილი იყო, ანუ, უკეთ რომა ვსთქვათ, პირადი ცხოვრება არა ჰქონდა. სწორედ ამიტომაც იგი უერთდებოდა ყველას ვინც პატიოსნად და გულ-წრფელად ემსახურებოდა სამშობლოს...

ვიცი, რომ ი. ს. გოგებაშვილი გამშორდა, მაგრამ მაინც არ მინდა დავიჯერო, რომ იგი მოკვდა. არ მინდა დავიჯერო არა იმიტომ, რომ მისი ღვაწლი უკვდავია, არამედ განსაკუთრებით იმიტომ მთელი ჩემი არსება, კაცის სიღრმიდან ამოხეთქილი გრძნობა პროტესტს აცხადებს ამ სიკვდილის წინააღმდეგ. ჩემი გრძნობები ვერ შეჰრიგებია იმ აზრს, რომ ი. ს. გოგებაშვილი აღარ გვყავს.....

Ionnesco.

## იშვიათი მამულიშვილი

ქართველ ერის მოღვაწეთა ჯგუფს ერთი წევრი, გულმოდგინე მზრუნველი და მესვეური კიდევ მოაკლდა. მთელი საქართველო დასტირის სახელგანთქმულს პედაგოგსა და მხურვალე მამულიშვილს—იაკობ გოგებაშვილს.

ვინ იყო იაკობი, რა საზოგადოებრივ ჯგუფს ეკუთვნოდა?

გადასინჯეთ განსვენებულის ნაწერთა პირველი ტომი და პასუხი აღარ გაგიძნელდებათ.

იაკობ გოგებაშვილი ეკუთვნოდა ქართველ მოღვაწეთა იმ ჯგუფს, სამოციან წლებში რომ გამოვიდა ასპარეზზე. სადაც ილიას, აკაკის და სხვათა სახელს მოიხსენებენ, იაკობიც არ უნდა დაივიწყონ, საკუთარი ადგილი უნდა მიუჩინონ, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში განსაკუთრებული ძეგლი უნდა დაუდგან.

ი. გოგებაშვილი ისეთი დიდი ნიჭის პატრონი არა ყოფილა, რანაირიც ჰქონიათ მიმადლებული-ილიას აკაკის და სხვათა. მაგრამ ვინც იმის ნაწერებს და საზოგადო მოღვაწეობას გაიცნობს, ნათლად წარმოუდგება იაკობის მიმართულება და საგანი, რასაც მთელ თავის სიცოცხლეში თავს დასტრიალებდა. რაც შეადგენდა სულსა და გულს მის მოღვაწეობისას, მისი ცხოვრებისას—ეს საგანი გახლდათ ქართველი ერის ბედი, მომავალი, იყო ზრუნვა ქირ-ვარამის შესამსუბუქებლად.

მეორე მწერალი არ ვიცით ისეთი, ამისთანა სწორხაზიანობა გამოეჩინოს, ამისთანა შეუდრეკელობა და სიფაქიზე, სიწრფელე სურვილთა შერჩენოდეს ბოლომდე. წაიკითხეთ მისი პირველი წერილთაგანი, მაგალითად, „შინაური მიმოხილვა საქართველოს მდგომარეობისა 1880 წ.“ შეადარეთ უკანასკნელ მის წერილებსა და განკვირდებით—მთავარი ძარღვი, მამოძრავებელი ძალი იაკობის სულის და გულისა, ლარივით არის გაჭიმული მთელს მის ნაწერებსა და ცხოვრებაში.

განსვენებული იაკობი თითონვე ამბობდა თხზულებათა წინასიტყვაობაში: „ჩვენი წერილები ეხება თითქმის ყოველს საარსო საკითხს ქართველი ხალხის არსებობისასაო“. მართლადაც, აბა, ყური დაუგდეთ, რა ასულდგმულებდა განსვენებულსა, რა საკითხები ეინტერესებოდა. ამასაც თვითონვე მოგვითხრობს განსვენებული იაკობი. უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია ტერიტორიის საკითხი. ამ საკითხის გამო დაუწერია ათ წერილამდე. მეორე საკითხი გახლავთ ხალხის განათლების მოწყობა. ეს საკითხი იყო, ყოველთვის ბრძოლასა და მთავრობასთან შეხლა-შემოხლას რომ იწვევდა ხოლმე. იაკობს ამის გამო—60 წერილამდე დაუწერია. მესამე საკითხი გახლავთ-ერისა. ერის პრინციპის განმარტებას დიდი ადგილი უჭირავს გოგებაშვილის ნაწერებში. აი, ყველაფერი, რაიც შეადგენს მთავარ ღერძს, რაზედაც ტრიალებდა იაკობის მოღვაწეობა—საზოგადო და სალიტერატურო.

მოკლედ გავიხსენოთ, რა აზრისა იყო განსვენებული ყველა ზემო ხსენებულ საკითხზე.

ტერიტორიის საკითხს იაკ. გოგებაშვილი ეხება „შინაურ მიმოხილვაში (დაწ. 1880 წ. ნაწერ. 20 გვ.). გოგებაშვილს კარგად შეუგნია ამ საკითხის მნიშვნელობა და ყურადღებით ეპყრობა. კარგად იცის ქართველი გლეხობის გაჭირვება, განსაკუთრებით იმერლობისა და აღნიშნავს ღონისძიებათა, რითაც შეიძლება საქმეს ეშველოს და ტერიტორია ქართველსავე ერს შერჩეს. იაკობი მაშინვე გრძნობდა (1880 წ.) რა შედეგი მოჰყვებოდა გადმოსახლების პოლიტიკის გაძლიერებას, და ამიტომ წინააღუდგა. „მინ რომ ყმაწვილი ტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო“, აი, როგორ გამოხატა თავისი აზრი განსვენებულმა. ჯერ მაშინ ამბობდა ტერიტორიის გამო: „ამაზე უფრო დიდი ჭირი ჩვენ ქვეყანას ამჟამად არ ადგიაო“ და ყველას დახმარებისათვის მოუწოდებდა.

განათლების საკითხისა რაღა უნდა მოგახსენოთ? სამოციან წლებს შემდეგ ამ დარგის საკითხი არ აღძრულა, იაკობს თავისი აზრი არ გამოეთქვას, სამართლიანობას არ გამოესარჩლებოდეს. განსვენებული ყველას კრიჭაში ედგა, დღე-მუდამ ყველას და ყოველთვის ჩასჩიჩინებდა უკვე საპედაგოგიო აქსიომად აღიარებულ ჭეშმარიტებას; ეს ჭეშმარიტება იყო—სწავლის ნაყოფიანობისათვის საჭიროა დედა-ენით სწავლებაო. გადაიკითხეთ იაკობის მშვენიერი წერილი: „მზრუნველის იანოვსკის სამოსწავლო გეგმა“, დაწერილი 1881 წელს და მიუმატეთ ამას წლევანდელი წერილები განსვენებულისა, ჟურნალ „განათლებაში“ რომ იბეჭდებოდა. საკვირველის ტაქტით, ლოღიკით და ცოდნით ნაცარტუტას ადენდა ცრუ აზრზე დამდგართა და სანამ არ დააჯერებდა, ან არ გაამტყუნებდა, არ მოეშვებოდა ხოლმე ყალბ აზრის გამავრცელებელთა და დამცველთა. ბევრჯერ ილიასა და იაკობს გაუნაწილებიათ სამუშაო და მოსწევიან კიდეც მიზანსა, თავისი გაუტანიათ. ორთავეს ავტორიტეტიან სიტყვას ყურს უგდებდა ყველა; მთავრობის წარმომადგენელიც ანგარიშს უწევდნენ და პატივსა სცემდნენ მათ ცოდნა-ლოღიკასა. მაგალითად კმარა წინამძღვარიანთ კარის სკოლის ისტორია. წარსადგენ წესდებაში იაკობს შეუტანია ორი მუხლი: „სწავლება ყველა საგნისა პირველი წლიდან დაწყებული მეექვსე წლის დასრულებამდე უნდა მიდიოდეს ქართული ენითა. მეორე მუხლი წესად სდებდა: რუსული ენის სწავლება სამეურნეო სასწავლებელში უნდა დაწყებულ იქნას მესამე წლიდანო (გოგებ. თხზ. 104 გვ.) მზრუნველს იანოვსკის არ შეუწყნარებია ესა და საქმე დაყოვნებულა. გოგებაშვილს დაუწერია ამ საგნის ვრცელი განმარტება (თხზ. 103 გვ.) და მთავრობაც, რის ვაივაგლახით, დასთანხმებია სამართლიანობისა და ჭეშმარიტების დამცველსა.

ქართულს გარდა, განსვენებული იაკობი სწერდა რუსულადაც. მისი ნაწერები დაბეჭდილა რუსეთის სატახტო ქალაქთა გაზეთებში. განსვენებული სწერდა რუსულად მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილად საჭირო იყო და როცა ელაპარაკებოდა მთავრობას, ან რუსის საზოგადოებასა. ეხლანდელი „ქართულ“-რუსული გაზეთებივით კი არ ჩაუდენია—ქართველებს ქართველებისავე საქმის გამო განსვენებული რუსულად არასოდეს დალაპარაკებია და გადაგვარების ეხლანდელ აგენტებს თავის დღეში არაფრად დამსგავსებია!

განსვენებულს იაკობს ძალიან კარგად ჰქონია შეგნებული, თუ განათლების რაგვარი ფორმა ესაჭიროება ქართველობასა. იგი ყოველთვის იყო და ყოფილა წინაამდეგი საკლასიკო განათლებით გატაცებისა და პროგიმნაზიების გამრავლებისა. ამ საგანსაც ბევრგან ეხებოდა განსვენებული თავის ნაწერებსა და სიტყვებში. ამ მხრით ყურადსაღებია შემდეგი მისი წერილები: „თელავისა და ტფილ. წმ. ნინოს სასწავლებლები" (77 გვ.) და „ორი სიტყვა სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების კრებებზე წარმოთქმული (254 გვ. და 276 გვ. გოგ. თხზ.) განსვენებული დიდი მომხრე ყოფილა სამეურნეო სკოლათა გამრავლებისა და ყველას იმის უპირატესობას უჩვენებდა, უმტკიცებდა.

რაც აქამდე მოგვიხსენებია, მხოლოდ დამატებაა, გარეგანი შინაარსია იმისა, იმ დიად საგნისა, იაკობ გოგებაშვილს რომ ძალას უორკეცებდა, აკაჟებდა. ეს საგანი, ეს საქმე გახლდათ—ქართველი ერის გათვითცნობიერება, თავის უფლებათა შეგნება და გრძნობა მამულიშვილობისა.

თავისი გულის ნადები, წადილი, წრფელი აზრები, განსვენებულს ადრევე გამოუთქვამს, პირველს „შინაურ მიმოხილვაში" (1880 წ. თხზ. 20 გვ.).

დასაწყისში ავტორი აღნიშნავს მამულიშვილობის დიად მნიშვნელობას ერისათვის და ამბობს: „მამულის სიყვარული მეტად ნაზი მცენარეა; იგი არა ჰგავს უსარგებლო აკაციას, ლობიოს ხეს, ყველგან უზრუნველად და მოუვლელად ორ სამს წელიწადს რომ სრულდება და შემდეგ უნაყოფოდ არის გაფშეკილი მთელს თავის სიცოცხლეში. მამულის სიყვარული ემსგავსება ნაზ კაკლის ხეს, რომლისთვისაც საჭიროა შესაფერი ნიადაგი, შეზავებული ჰაერი, რომელიც ვერ იმჩნევს დამჩაგვრელ ხეებს, რომელიც დიდხანს იზრდება და როდესაც დასრულდება თვალსაც ამებს, გულსაც ახარებს და ქვეყანასაც ასაზრდოებსო". შემდეგ ავტორი განმარტებს თუ ვინ არის მამულიშვილი. მაგრამ სამწუხარო მდგომარეობაში ჩავცვინულვართ: „ჩვენის ქვეყნის წარსულს ფარდა აქვს ჩამოფარებული და ვერ ვითვისებთ, ვერც გონებით, ვერც გულით; ჩვენი ერის აწმყოსაც მოწყვეტილნი ვართ და მისდამი თანაგრძნობას ყოველ ნაბიჯზე გვიქრობენ, ფრთების შემსხმელ მომავლის იმედს გულში გვიფხვრიან. სახლობა, სკოლა, საზოგადოება, ყოველი საქვეყნო დაწესებულება, იქითკენ არის მიმართული, რომ გული აგვიცრუოს ჩვენს ენაზე, ჩვენს ლიტერატურაზე, ჩვენს ისტორიაზე, ჩვენს ეროვნულ ყველა საუნჯეზე და გადაბირების გზაზედ დაგვაყენოს". ამის გამო, რასაკვირველია, ძლიერი ზრუნვა არის საჭირო მამულიშვილების შესაქმნელ-აღსაზრდელად. ავტორი განაგრძობს: „ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმიდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევიარა. ვისიმე სიძულვილი, დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი, სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნობისა, თვითმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობაო" (24 გვ. ეს ციტატა და მამულიშვილობის განმარტება, ბ-ნ არჩილ ჯორჯაძეს შეცდომით ილია ჭავჭავაძისათვის მიუკუთვნებია თავის „პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძეში". შეცდომა თვით გოგებაშვილსაცა აქვს აღნიშნული. მიმოხილვა ხელმოუწერელი ყოფილა და შეცდომა ამით წარმომდგარა).

მაგრამ ერთიც აღსანიშნავია. იაკ. გოგებაშვილი ვერ ასცდენია იმ მიმართულებას, სამოციანი წლების მოღვაწენი და წინანდელნი რომ აღიარებდნენ და რომელიც „ქართულად" მიაჩნდათ. იაკობი ამ საკითხს ეხება თავის წერილ „ქართულ მიმართულებაში" (363 გვ.) ეს მიმართულება, ავტორის აზრით, ორის მუხლით შესდგება: „პირველი მუხლით ქართველი აღიარებს თავის მტკიცე ერთობას რუსეთთან და ერთგულებას ხელმწიფე იმპერატორისას, როგორც საქართველოს მეფისას..." მეორე მუხლი ქართული საპოლიტიკო სიმბოლოსი ამბობს: „გაფურჩქნეთ, გააძლიერეთ და ააყვავეთ ყველა თქვენი ეროვნულნი, ანუ ნაციონალურნი ძალნიო" (364 გვ.). ცხოვრებამ ყველას ნათლად დაანახვა, რამდენად გულუბრყვილო იყო ზემოხსენებული მუხლები. თუ რამდენად შეიძლებოდა ამ ორი მუხლის შეთანხმება—გვიჩვენებს შემდეგი ისტორია ქართველი საზოგადოებისა, პასუხი იქ ეძიეთ.

განსვენებულს იაკობს მაინცა და მაინც განსაზღვრული და დაწვრილებითი საპოლიტიკო პროგრამა არა ჰქონია. ზოგჯერ სისტემის მოხელეთ უფრო შებრძოლებია, ვიდრე თვით სისტემას. თუნდა მოიგონეთ ამ ორი-სამის წლის წინად გამართული კამათი განსვენებულსა და გაზეთ „დროებას" შორის და ნათქვამის ჭეშმარიტებაზე ადვილად დარწმუნდებით.

აი, ასეთი ყოფილა ქართველთა მოღვაწეთა საუკეთესო წევრი და ქართველი ერის მოამაგე, მზრუნველი.

გადაიკითხეთ იაკობის თხზულებანი. შეიძლება ბევრ რამეზე უკვე ველარ დაეთანხმოთ, შეიძლება მოძველებულად მოგეჩვენოთ ზოგიერთი აზრი, მაგრამ ყოველთვის ქედს მოგახრევინებთ აზრთა, მსჯელობისა და საგნის სიდიადე, ავტორის გულწრფელობა. მაშინ უეჭველია მადლობით მოიხსენიებთ მხურვალე მამულიშვილს, ნამდვილ მებრძოლს, უშიშარ დარაჯს ქართველი ერისას!

**ქ. რაჭველი.**

## იაკობ გოგებაშვილს

ჩვენო ძვირფასო მოამაგევ!

ნახევარ საუკუნეზედ მეტია, რაც შენ ერთგულად და თავგანწირვით ემსახურებოდი შენს ლამაზს და ძვირფასს სამშობლო საქართველოს.

შენ ზრდიდი და წვრთნიდი ქართველ მოზარდ თაობას შენის ძვირფასის წიგნებით და განუწყვეტლად უნერგავდი მათ ბეჯით შრომასთან ერთად ერისა და ქვეყნის თავდადებულ სამსახურს.

შენ როგორც ღირსეულმა შვილმა ღირსეულად მოიხადე ვალი შენი ერისა და სამშობლოს წინაშე, შენის ცხოვრების მაგალითით ჩვენც გვასწავლე, თუ როგორის თავ გამოდებით უნდა ემსახურებოდეს ყოველი ქართველი თავის საყვარელ სამშობლო ქვეყანას. შენ იყავი ფხიზელი დარაჯი და ამოღებული ხმალი მახვილი, ყოველის მხრით დევნილი სამშობლო დედა-ენის დასაცველად.

ბევრჯერ გამოგიცხადებია სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ჩვენი მტრების წინაამდეგ და შეუპოვრად მიგიტანია იერიში ჩვენი ეროვნებისა და ენის მოძულეებზე, არავის დაუთმობდი, ქართველი ერის და ქართული ენის დაწიხვლას და მისს ფეხით გათელვას. დიდი და აურაცხელია, იაკობ შენი ღვაწლი და ამაგი ქართველი ხალხის წინაშე.

მუხლს ვიდრეკ შენი უმწიკვლო ცხედრის წინაშე დ ღმერთსა ვსთხოვ, რომ შენისთან თავდადებული დ ქვეყნის სამსახურისათვის შეუპოვარი შვილები გაუმრავლოს ჩვენს დაჩაგრულ სამშობლოს მისს აღსადგენად და ასაყვავებლად.

**სოსიკო მერკვილაძე.**

# იაკობ სვ. გოგებაშვილის გარდაცვალების გამო

**იაკობ გოგებაშვილის დაკრძალვის ცერემონიალის შეცვლა.**

სამგლოვიარო პროცესია გაემგზავრება ქვაშვეთის ეკლესიიდან ლორის-მელიქოვის ქუჩით პუშკინის სკვერისაკენ, აქედან გავა სასახლის ქუჩაზე და წ. კ. საზოგადოების სადგომის წინ მიცვალებულს გადუხდიან ლიტიას, აქ იტყვიან სიტყვას, შემდეგ პროცესია გაემგზავრება გოლოვინის პროსპექტით იმ წესით, რომელიც უკვე იყო გამოცხადებული „სახ. გაზ". № 620-ში.

—

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე (8 ივნისს) მოისმინა საზოგადოების წევრის იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის გარდაცვალების ამბავი და დაადგინა: გადაიხადოს პანაშვიდი 9 ივნისს ქვაშვეთის ეკლესიაში, დასაფლავების დღეს წირვასა და წესის აგებას დაესწროს მთელი საბჭო და გვირგვინის ნაცვლად, გადასდოს „იაკობის ფონდის" სასარგებლოდ ორი თუმანი.

—

ტფილისის ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტმა დაადგინა: გვირგვინის ნაცლად განსვენებულ გოგებაშვილის სახსოვრად გაანთავისუფლოს სათავად-აზნაურო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა განსაზღვრული რიცხვი შეძლებისა დაგვარად.

—

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ბორჯომის განყოფილების გამგეობამ** დაადგინა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი გვირგვინით იაკობ გოგებაშვილის დასაფლავებაზე. დასაფლავების დღეს გადაიხადოს პანაშვიდი ადგილობრივ ეკლესიაში. გამგეობის მხრივ. ქ. თფილისში წასვლა დაევალა თავმჯდომარეს გ. ვაშაკიძეს.

—

იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო „ნაკადულის" რედაქციამ დაადგინა: გვირგვინის მაგიერ ხუთი ნომერი გაუგზავნოს ღარიბს სასწავლებლებს.

—

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ნავთლუღის სკოლის საგანგებოდ შეკრებილმა სამზრუნველომ დაადგინა: პატივცემულ განსვენებულ სასიქადულო მოღვაწის, პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სურათი ჩამოჰკიდოს ნავთლუღის სკოლის დარბაზში, ორი ულარიბესი ბავშვი გაანთავისუფლოს სწავლის ფულისაგან და სექტემბერში, როცა სწავლა დაიწყება პანაშვიდი გადიხადოს სკოლის დარბაზში და დაესწროს დაკრძალვას.

—

მოსკოვის უნივერსიტეტში არსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ კულტურის მოყვარეთა წრე გლოვობს დიდებულ მამულიშვილის, მხცოვანის და სახელოვანის პედაგოგის, სამშობლო სკოლის დარაჯის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებას, წრის წარმომადგენლად დაესწრება დასაფლავებას გამგეობის წევრი აკაკი ფაღავა.

—

**კულაში.** 7 ივნისს ჯვარცმის ეკლესიაში გადავიხადეთ პანაშვიდი დიდებული მასწავლებლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მასწავლებლების და მოსწავლეების გარდა მრავალი ხალხი დაესწრო.

—

**სოფელი კასპი.** 7 ივნისს ადგილობრივ ინტელიგენციის და მოწაფეთა თანადასწრებით, წმ. თევდორე-ტირონას ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი მხცოვან პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად.

## სამძიმრის დეპეშები.

**დუშეთი.** დუშეთის ქართველები დაობლებულ საქართველოსთან ერთად ულრმესად გლოვობენ აუნაზღაურებელ დანაკარგის გამო, რომელთაც გვეწია მცხოვან პედაგოგის, სამშობლოს საკეთილდღეო და სასახელოდ მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებით. მისი სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდს ვიხდით 9 ივნისს, შაბას.

—

**ძირულა.** თავზარი დაგვცა ყოველ ქართულ საქმისათვის მზრუნველს უბადლო პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ.

სევასტი კურაძე, გაბრიელ და ერმილოზ ებანოიძენი, პეტრე სახუაძე, პავლე არტემ გელაშვილი, ლუკა, გალაქტიონ გველესიანი, დათიკო, მელიტონ შველიძე. პეტრე ნიორაძე, შალვა ტაბატაძე, მიხაკო კიკნაძე, იასონ მანცაძე

—

**ზუგდიდი.** ზუგდიდის მასწავლებელნი მწუხარებას აცხადებენ უბადლო და ნიჭიერ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვის გამო.

ნადირაძე, პატარია, არაჩემია, ტრებუჩავა, ბუკია, ტადია, ჟორდანია, კედია, გეგელია, ალანია.

—

**ჭიათურა** მერევის სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლენი ღრმად სწუხან დიდებულ პედაგოგ იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი გადავიხადეთ.

მღვდ. გაფრინდაშვილი, მელაშვილი, ბარათაშვილი, გუნავა.

—

**ბათომი.** სამშობლოში მომავალი სტუდენტები ულრმესად დააღონა იმ სამწუხარო ამბავმა, რომლითაც დაჰხვდა მათ სამშობლო ქვეყანა; გარდაიცვალა ადამიანი, რომლის ბადალიც მის დარგში არ მოგვეპოვებოდა და ვეჭვობთ, რომ მალე გვეყოლოს,— მტკიცე და სახელოვანი მოსარჩლე ქართულ სკოლისა, უბადლო საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი.

გულნარა ფაღავა, ნინო მიქელაძე, აკაკი ფაღავა, სოსიკო ბერძენიშვილი, მიხაკო ცეცხლაძე, კალე ქავთარაძე, დიმიტრი მგელაძე, ვლადიმერ ტკაჩევი, ანდრო წერეთელი, სიმონ ჩიქოვანი, კლიმენტი ჩიქოვანი, იონა არ-ენ შვილი, ევგენი კაბაჩნიკოვი, ალექსანდრე ლოლაძე, შალვა მოსიძე, გიორგი გაიდამადუკ, სევერიან პაპავა, გრიგოლ კეკელია, ევსევი უშვერიძე, დავით კოსტავა, გრიგოლ რეკვავა, სვიმონ ჯომ ხიძე, კონსტანტინ მაჭავარიანი, ივლიან პაჩაძე, არტემ კაკაბაძე, ალექსანდრე კორძაია.

—

**თელავი.** მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ მრავალ ტანჯულ სამშობლო ქვეყნის ნაყოფიერ ჯეჯილში უბადლო ქურუმს, იაკობ გოგებაშვილის ცხედრის წინაშე.

**სევდია, ახოსპირელი, დავიწყებული.**

—

**ბაქო.** დიდად დაგვაღონა სასიქადულო პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ. ჩვენს ღრმა მწუხარებას ვუერთებთ მთელ საყვარელ საქართველოს გლოვას.

**ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის ქართველი მოხელენი.**

—

**ახალსენაკი.** ძველსენაკის საბლაღოჩინოს სამღვდელოება იზიარებს სამშობლო ქვეყნის საპედაგოგო მწერლობას საერთო დანაკლისს, რომელსაც მოაკლდა ძვირფასი და ნიჭიერი მოღვაწე იაკობი. მადლიერნი მის ღვაწლით, ღმერთს ვავედრებთ სულსა ჰისსა.

ბლაღოჩინი ირაკლი პალანდარაშვილი

—

მთელს ქართველ ერთან ჩვენც ვგლოვობთ საუკეთესო მამულიშვილისა; უანგარო მოამაგის, პედაგოგისა და პუბლიცისტის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას.

დარისპან, რაჟდენ და ლავრენტი ცუკკირიძენი.

—

**ყაზანი.** ვიზიარებთ სამშობლოს მწუხარებას ძვირფას პედაგოგისა და და ღირსეულ ქართველს იაკობ გოგებაშვილის დაკარგვის გამო.

კოველაშვილი, ჩხიკვაძე, შოთაძე, მირიანოვი, კიკნაძე.

—

**სამტრედია.** ულრმესად ვგლოვობთ იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებას.

ძმანი ლოკაჩეიშვილნი, კვალიანი, დუნდუა, ჩომახიძე, ხარებოვი!ა, ხურუა.

—

**ქუთაისი.** იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების ამბავმა მეხივით თავზარი დაგვცა. მის გარდაცვალებით დავკარგეთ არა მარტო მასწავლებელი არამედ ქართველ სკოლისა და დედა-ენისათვის მებრძოლი ადამიანი; მან ორმოც წელიწადს იბრძოლა ჩვენს სკოლებში ქართული ენის დასამკვიდრებლად და ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ გადაუხვევია თავის პოზიციისათვის. ბევრი თაობა მოიგონებს მადლობით კეთილ მასწავლებლის ძვირფას სახელს. ქართველ ერის საერთო მწუხარებას ვუერთებთ ჩვენს წუხილს და ვგლოვობთ ჩვენს ძვირფას პედაგოგ-მებრძოლის დაკარგვას.

კირაკოზოვისა და ოგანოვის სავაჭრო სახლის ქუთაისის განყოფილების მოსამსახურეთა მონდობილობით **ნიკოლაიშვილი.**

—

**გუდაური.** ქართველი მთიულნი ვგლოვობთ დაუვიწყარ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დაკარგვას.

**მღვდელი კაიშაური.**

—

**გორი.** გორის სამრევლო სკოლების მასწავლებელნი, დაობლებულ მოწაფეებით გარშემორტყმულნი ულრმესად გლოვობენ და სტირიან ძვირფას პედაგოგისა და ხელმძღვანელისა და ქართველ საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას. პანაშვიდებს ვიხდით. გვირგვინის ნაცვლად, სწავლის ფულიდან მის ხსოვნის აღსანიშნავად სამ ბავშვს ვანთავისუფლებთ.

—

ანტონი კასრაძე, ქეთევან კასრაძე, თამარ ჰიჭინაძე, ზინაიდა ოქროპირიძე, ნატალია ჩერქეზიშვილი.

**სალირი.** გულის სიღრმით ვგლოვობთ ძვირფას პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას.

ნავთის საყვან მილების **მომუშავენი სალირში.**

—

**ქუთაისი.** ქუთაისის ქალაქის პირველდაწყებით სასწავლებელთა მასწავლებლები ულრმეს მწუხარებას ვუერთებთ ქართველ ერის საერთო გლოვას, უბადლო პედაგოგ-მამისა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვისა გამო.

—

**ახალსენაკი.** ახალსენაკის ნორმალურ სასწავლებლის მასწავლებელნი და მოსწავლენი ულრმესად დაამწუხრა სამშობლო ქვეყნის უკვდავ პედაგოგ გოგებაშვილის დაკარგვამ.

ზედამხედველი **ენუქიძე.**

—

**ჩოხატაური.** აუნაზღაურებელი დანაკლისია. ვიზიარებთ უდიდეს ეროვნულ მწუხარებას, სახელოვან პედაგოგის, ერის სიამაყის, იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებით გამოწვეულს.

**სურების მასწავლებლები:** მირიანი, თეოფილე, ერეთეოზი, ანდრია, სერაფიონი, ნოე, დომენტი რამიშვილები და წულაძე.

—

**ადესა.** ადესის ქართველი ფარმაცევტები დიდად შეგვაწუხა იაკობის გარდაცვალებამ. უზომო მწუხარებამ მოიცვა ჩვენი გული; ვგლოვობთ საუკეთესო თანამემამულისა, მასწავლებლისა და ქართულ სკოლის სულის ჩამდგმელის დაკარგვას და დაობლებულ სამშობლოს თანაგრძნობას ვუცხადებთ.

**ადესა.** ულრმესად დამწუხრებული მოწიწებით მუხლს ვიდრეკ დიდებულ მამის, ქართველთა განმანათლებელ იაკობის ცხედრის წინაშე.

**იასონ მოსეშვილი.**

—

**ჩოხატაური.** გოგებაშვილის სახელობაზე არსებულ ბიბლიოთეკის წევრნი ვგლოვობთ დიდებულ საზოგადო მოღვაწის, იაკობის დაკარგვას.

წ. ვრთა დავალებით მირიან რამიშვილი.

—

**ყვირილა.** ჩხარის საზოგადოების სახელით ულრმეს მწუხარებას ვაცხადებთ სახელოვან პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვის გამო.

ქაჯაია, ბარათაშვილი, ჭუმბურიძე, გურდალიშვილი, შოთაძე, ყღენტი.

—

ჩემს მწუხარებას ვუერთებ საერთო გლოვას, შესანიშნავ პედაგოგისა და ქართველთა მნათობ იაკობ გოგებაშვილის დაკარგვისა გამო.

სოლომონ ქეიშვილი.

—

**სადმელი.** სამწუხარო ამბავმა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ პედაგოგ იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალები სამ გული დაგვწყვიტა. ჩვენ მოწაფეებთან ერთად ცხარე ცრემლს ვაფრქვევთ

მასწავლებლები: კეკელია, მურუსიძე, ფირცხალავა, ნინიძე. ფოსტის მოხელენი: ვასოსიანი, ჩიკოიძე, მაისურაძე.

—

**ქუთაისი.** სიტყვით გამოუთქმელ მწუხარებას განვიცდით, მუხლს ვიდრეკთ ძვირფას იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის ცხედრის წინაშე. ხმენება მისი წაუშლელი იქნება ჩვენის გულიდან.

სად. ქუთაისის რკინის გზის მოს მ ახურეთა ჯგუფი: იოსებ ღოღო ეძე, ვასილი ხუტიძე, გიორგი მუჯიძე, ერასტი მუნგულია, იოსებ ბუშუთეიშვილი, მოსე ვაჭაძე სპირიდონ სხ ეხელი, გიორგი ქე აძე, პლატონ ბოკერი.

—

**ფოთი.** სამშობლოსთან ერთად ვგლოვობ დედა ენისა და სკოლისათვის დიდებულ მებრძოლ იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას.

მელიტონ კელენჯერიძე.

—

**საბუნჩი.** ტფილისის ამხანაგობის ნავთის მრეწველობის ქართველი მუშები ულრმესად დაგვაღონა დაუღალავ, უნიჭიერეს პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვამ.

**მუშათა ჯგუფი.**

—

**ბათომი.** ცხარე ცრემლს ვაფრქვევთ ძვირფას პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დაკარგვის გამო. დაობლდა მშობლიური სკოლა; მან დაჰკარგა დაუღალავი მოსარჩლე თავის უფლებებისა.

მოწაფეთა ერთი ჯგუფის მონდობილობით **ყოყიკაშვილი.**

—

**ერევანი.** ძვირფას მასწავლებლის იაკობის დაკარგვამ გული მოგვიკლა.

**ადამაშვილი, ქურდიანი, მარუაშვილი.**

—

**ბაქო.** დიდებულ ქარ ველისა, უმაგალითო მოღვაწისა და სად პედაგოგიურ პრინციპების დამცველის წინაშე მუხლს ვიდრეკ.

რაჟდენ ნაცვლიშვილი.

—

**ჭიათურა** ვგლოვობთ და ვწუხვართ ქართველი ერის სიამაყის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას.

გიორგი ნანეიშვილი, კოტე წერეთელი.

—

**ახალსენაკი.** ახალსენაკის დაბა გლოვობს საუკეთესო პედაგოგისა და მოქალაქის დაკარგვას. გვირგვინის ნაცვლად ადგილობრივ განყოფილებას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისას გადავეცით 25 მანეთი, განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის [illegible] თხზულებათა შესაძენად ბიბლიოთეკისათვის და ბავშვების [illegible]ბისათვის.

დეპუტატები გ. მდარაძე და ძ. ლოლუა.

—

**ნაოღალევი.** დამძიმებული საქართველოს საერთო მწუხარებით, ჩემდამი რწმუნებულ სენაკის მაზრის სამრევლო სკოლების მოწაფენი გლოვობენ და სტირიან თავის აღმზრდელ-მასწავლებლის, უხუცეს და დაუვიწყარ პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას.

დეკანოზი კაპიტონ გაწერელია.

—

**გორი.** იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებით დამგლოვიარებული ქალაქი გორი, თავის რწმუნებულთა პირით ულრმეს მწუხარებას აცხადებენ გამოჩენილ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დაკარგვის გამო.

ქალაქ გორის მამასახლისი პაპალექსი.

—

**გორი.** გორის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ულრმესად გლოვობს სასარგებლო ქართველ მოღვაწე-პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას. პანაშვიდს გადავიხდით. მის ხსოვნის აღსანიშნავად გადავწყვიტეთ გორის საქალებო გიმნაზიის ულარიბესი მოწაფე სწავლის ფულიდან გავანთავისუფლოთ.

გამგეობის თავმჯდომარე კვალიაშვილი.

—

**დონის როსტოვი.** მწარედ ვგლოვობთ ერის საამაყო სახელოვან მოღვაწის სახალხო საქმისათვის თავდადებულ პედაგოგსა და დედა-ენის მედგარ დამცველის, იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას სამშობლოდან გადასახლებულნი, განურჩევლად მიმართულებისა, ვიზიარებთ საერთო მწუხარებას და ვისურვებთ, რომ მისი სათაყვანებელი სახალხო განათლების საქმე ჩვენში დამდგარიყოს თავის ნიადაგზე.

**პოლიტიკური გადასახლებულნი.**

—

**კავკავი.** კავკავის ქართველები ულრმესად გლოვობენ ჩვენი მცხოვან საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო. ღმერთს ვავედრებთ მის სულს და ვიმედოვნებთ, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა წასაბაძ მაგალითად გაუხდებათ ჩვენს პედაგოგებსა და საზოგადო მოღვაწეთ.

**წ. კ. გ. საზ. კავკავის განყოფილების გამგეობა.**

—

**კავკავი.** გვირგვინის ნაცვლად კავკავის წ. კ. გამ. საზ. განყოფ. გამგეობამ დაადგინა ერთდროულად ხუთი თუმანი შესწიროს ვარიანის მომავალ სამაგალითო სკოლას, ხოლო ყოველწლიურად აძლიოს ოცდახუთი მანეთი.

**კავკავის განყოფილების გამგეობა.**

—

**კავკავი.** კავკავის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა ულრმეს მწუხარებას აცხადებს სამშობლო ქვეყნის ძვირფას შვილის, ნიჭიერ ქართველ პედაგოგისა პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

**გამგეობა.**

—

**დედოფლის წყარო.** (ქიზიყი). გული მომიკლა სამშობლო ქვეყნის პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის გოგებაშვილის გარდაცვალებამ.

**სიკო ახმეტელაშვილი.**

## სამგლოვიარო წერილები.

— იაკობ გოგებაშვილი დიდი მასწავლებელი იყო; ყოველი ანბანის მცოდნე კარგად იცნობს მის სახელს, რომელმაც შექმნა „დედა ენა", „ბუნების კარი". და არა ერთსა და ორს ამ სახელმძღვანელო წიგნებით შეაყვარა სამშობლო ენა და თვით სამშობლო......

საუკუნოდ დარჩება საშვილიშვილოთ შენი სახელი სასიქადულო სამშობლო ქართველის შვილო იაკობ..... **ვანო საათაშვილი.**

(გლეხი ვანო).

—

**ქუთაისი.** დიდად დაგვამწუხრა იშვიათ ქართველს და გამოჩენილ პედაგოგის იაკობ გოგებშვილი, ჩვენი შვილების და ძმების ქართულ ენაში გამვარჯისებელის დაკარგვამ. საინდრაუს ქარხნის მუშების მონდობილობით.

კოლია გიორგის ძე **ლეჟავა.**

—

**დ. სამტრედია.** დიდად დაგვაღონა და დაგვამწუხრა ქართველ პედაგოგისა დაუვიწყარ მოღვაწის ბ-ნ, იაკობ სვიმ. გოგებაშვილის გარდაცვალებამ.

სამსონ კიკაჩეიშვილი, კოსტა კვანტალიანი, ბიკტორ ხუჭუა, ნესტორ კიკაჩეიშვილი, ანდრო დუნდუა, ვარლამ ზაქრაძე, ნოე ჩოხამაძე.

—

მეტად დამალონა და შემაწუხა სასიქადულო პედაგოგის, ნიჭიერი პუბლიცისტის, ძვირფასი მამულიშვილის და სამშობლო ენის ერთგული დარაჯის, პატიოსანი მოძღვრის იაკობ სვიმონის ძის გარდაცვალებამ. მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში იგი მედგრად იცავდა ქართულ სკოლის ინტერესებს და შეუპოვრად ებრძოდა მისს მტრებს. თავისი გონიერი და მიმზიდველი პედაგოგიური წერილებით მან ბევრი სახალხო მასწავლებელი ჩამოაშორა პოლიტიკანურ მიზანს, აგრძნობინა მათ თავიანთი შეცდომა და ჩაუნერგა გულში სიყვარული და მნიშვნელობა დედა ენისა ქართულ სახალხო სკოლაში. ვისურვებთ, რომ განსვენებულის სახელის პატივისცემის ნიშნად სახალხო მასწავლებლებს ქართულ სკოლაში ისეთი პატივისცემა და სამსახური გაგვეწიოს დედა ენისათვის, როგორსაც განსვენებული იაკობი უწევდა.

**ლადო ბზვანელი.**

—

უზომო მწუხარებას განვიცდით დიდებულ მამულიშვილის და საზოგადო მოღვაწის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვით. დავკარგეთ საუკეთესო აღმზრდელი მამა.

**იასონ ჭოლოკავა.**
**კონდრატე მაკალათია.**

—

ჯავის საზოგადოების ოსები უზომოდ დაალონა დიდებულ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დაკარგვამ. **ოსი ვასილი თედეშვილი.**

**ჭიათურა.** ჭიათურის განყოფილება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა გლოვობს საუკეთესო მამულიშვილის და წ. კ. ს. დამაარსებლის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალებას.

—

ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება დიდათ დაამწუხრა ჩვენი ეროვნების ბურჯის ი. გოგებაშვილის გარდაცვალებამ.

—

დიდი და პატარა შეგვაწუხა და თავზარი დაგვცა ჩვენი ქართველი ხალხის დიდი მასწავლებლის ბიძია იაკობის გარდაცვალებამ. გადავიხადეთ პანაშვიდი.

**სოფელი ბრეთი.**

—

**ბაქო.** სასტუმრო მეტროპოლის ქართველ მოსამსახურეებს თავზარი დაგვცა ძვირფას, დაუვიწყარი, ღუდიდესი ქართველის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ პედაგოგის, და ცნობილი პუბლიცისტ იაკობ გოგებაშვილის უდროოდ, დაკარგვამ. მისი ხსოვნა ჩვენს გულში დაუვიწყარი იქნება.

ამხანაგების მონდობილობით **არტ. აბაშელი.**

—

**ოზურგეთის** ახალგაზდობა უზომოთ დაგვამწუხრა ჩვენი სასიქადულო პედაგოგის და აღმზრდელის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის უდროოდ დაკარგვამ.

**სევასტი და კოლა დოლიძენი.**

—

ვემთხვევით პატიოსან უსულო გვამსა იაკობ გოგებაშვილისას. პატივცემულო ადამიანო, შენ დასდევი დიდი ღვაწლი შენს სამშობლოში მოზარდთათვის და ამცნევი სასოება ყოველსავე ნიჭიერებისა. მწარედ დავსტირით და მუხლს ვიდრეკთ შენს წინაშე.

**ქართველთა ხელოსნების მონდობილობით ს. ია. ქიტიაშვილი.**

—

მუხლს ვიდრეკთ და ვემბორებით სახელოვანი პედაგოგის დიდებულ მოღვაწის და მშობელ ერის მოამაგის იაკობ გოგებაშვილის ცხედარს დავგლოვობთ დიდებულ ადამიანის დაკარგვას მთელ ქართველ ხალხთან ერთად ჩვენც **ტფილისის ტრამვას ელექტრონის სადგურის ქართველი მუშები.**

ამხანაგების მონდობილობით იასონ. **ზ. გიორგობიანი.**

—

გავიგეთ რა გადაცვალება დიდად პატივცემულ მოღვაწისა და დედა ენის ბურჯის. ი. ს. გოგებაშვილისა.

შევიკრებენით ჩვენ **ხელოსანთა მამასახლისები თანადასწრებით ხელოსანთა თავისა,** გადავწყვიტეთ და ვთხოვეთ გუბერნიის მართველს, ნებართვა, რომ დავესწროთ სუყველანი ერთათ სახელოსნო დროშებით და უკანასკნელად პატივი ვცეთ დაუვიწყარ მამულიშვილს.

**ამხანაგობის მონდობილობით ბ ვაშაკიძე.**

—

რდმა თაობამ დავკარგეთ უვედიდი და აუნაზღაურებელი გვი. ყველაზე მეტი მწუხარეგვმართებს. ვიტიროთ ჩვენი სულთაო მამა იაკობი და შევთხუზნავს, რომ დიდ ხანს ნუ ამს ჩვენს საყვარელს დედა ენოად, მალე მოუვლინოს ღირს მემკვიდრე, რომელიც ი. ს. გოილისებური მედგარი და თავებული დამცველი იქნება ჩვენ ძვირფასი საუნჯისა.

ტ. გიმნაზ. მეთხე კლასის მოწ.

**დავით ნაცვლიშვილი.**

—

**ს.** [illegible]. მე, ჩემი სახლობა და შვილ ვგლოვობთ სახელოვან მოღვაწე გამოჩენილ პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის უდროოდ გარდაცვალებას.

**პ. დარეჯანაშვილი.**

—

**ს. მ[illegible]ფი.** ვუერთდებით ქართველ მწუხარებას, ვგლოვობთ საუკეთესო პედაგოგისა, პუბლიცისტის საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას და მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ მის საფლავის წინ.—მისი სულის მოსახსენებლად მეორე დღეს, დასაფლავების დღეს, წირვა და პანაშვიდი გადიხდება მამფის საკრებულო ტაძარში.

**მარტყოფის კითხველოს გამგეობა**

—

დაუვიწყარ დიდებულო მასწავლებელო ჩვენო იაკობ! მწარედ დაღვრემილნი გლოვებით დღეს დიდად პატივცემულს განსვენებულს თქვენს გვამს, შეერთებული იმ პირთან, ვისაც დედის ძუძუსებრ უყვარს დედა ენა, გულით და სულით ვგლოვობ თქვენს გარდაცვალებას. გარდაცვალებას და არა სიკვდილს, რადგანაც თქვენისთანა პირნი არ კვდებიან. თქვენს გაკაფულ გზაზე ხსნობით გაუვლიათ პატარა უსინათლებს და როდესაც გაუხელიათ თვალი, დიდის პატივისცემით დაუფიცავთ დედა-ენა.

წარუშლელია ჩემში თქვენი ხსოვნა, ძვირფასო მასწავლებელო.

**ქეთო.**

—

**ტფ. პარიკმახერ** მუშების ერთი ნაწილი უერთდება თავის ულრმეს მწუხარებას მთელ ქართველი საზოგადოების და-მწუხარებას და მათთან ერთად ვგლოვობთ ჩვენს ამაგდარს მამამთავრს, დაუღალავს და ენერგიულად მოღვაწეს, ჩვენი მყობადის და-განკაცებისათვის თავ განწირულს—იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვას. ქედს ვიხრით მის ცხედრის წინაშე და აუარებელ პროცესიასთან ერთად მივყვებით თავის კარამდე.

განსვენებულის პატივსაცემლად გამოვიღეთ ჩვენს შრომის წვლილი, რასაც გადავცემთ პატივცემულ იაკობის სახელობაზე რომელიმე სიმპატიურ დაწესებულებას.

მუშათა მონდობილობით **ვენედიქტ ნასირაძე.**

—

**სურამი.** დიდად ვსტირით პატივცემულ პედაგოგის იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის სიკვდილს, აღმზრდელს თავის სამშობლოს შვილებისას. მან შექმნა ჩვენ შორის ხელთუქმნელი ძეგლი. დედა ენა და გოგებაშვილი განუყოფელნი არიან გონებაში ყოველი ქართველ შეგირდისა. სადაც იხსენება ქართული ენა, იქ გოგებაშვილი.

ელისაბედ, თამარი, ესტატე [illegible] რთ. გიმ. მოწაფე მიხეილ ლომიძენი, ი[illegible]ხნაშვილი და იაკობ მიქაძე.

—

**ხაშური.** თავ-ზარი დაგვცა ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მამულიშვილის იაკობის გარდაცვალებამ. ვგლოვობ და ვსტირი ჩემი საუკეთესო ბანაკისა და მეგობრის დაკარგვას. ვწუხვარ, რომ, უძლურებისა გამო არ ძალმიძს თავზე ვადგე მის ძვალს კუბოს და დავესწრო მის დასაფლავებას.

**გიორგი იოსელ.**

—

**ს. ქარელი** (გორის მაზ.) ქარელის საზოგადოება განურჩევლად წოდებისა, განიცდის ულრმეს მწუხარებას ცხოვანის პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო. მის სიკვდილით დაობლდა ჩვენი და მოზარდი თაობა, რომლისთვის იგი ილვწოდა და აძლევდა ხანს სულიერს საზრდოს. საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა შენი პატიოსანო მშრომელო, იაკობ!

საზოგადოების მონდობილობით ქარელის მღ. **იასონ ოქროპირიძე.**

—

4 ივნისს, სოფ. **ალის** წმიდის თომა მოციქულის ეკკლესიაში, რამდენიმე სამღვდელოებამ, მასწავლებლების, მოსწავლეების და მრავალი სხვა ხალხის თანადასწრებით პანაშვიდი გადაიხადა ძვირფას და მარად დაუვიწყარის პატიოსან ადამიანის იაკობ გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად. მთელი კრება დიდის მწუხარებით მიეგება ასეთ მოღვაწის უდროოდ დაკარგვას, რომლის დღეგრძელობა კიდევ ძვირფასი იყო ქართველ ერისათვის.

ხალხის მონდობილობით
მღვდელი **სერგი გელაძე.**

—

გული დამწყვიტა ახალთაობის ჭეშმარიტ აღმზრდელ მამის—იაკობის უდროოდ დაკარგვამ.

**ს. თავართქილაძე.**

—

ვუერთებთ ჩვენს გლოვას მთელ საქართველოს მწუხარებას იაკობ გოგებაშვილის უდროოდ დაკარგვის გამო.

**დიდუბის სამკითხველოს მზრუნველნი.**

—

**რკინის გზის** უმთავრეს სახელოსნოს მუშები ულრმეს მწუხარებას უერთებენ სამშობლო ქვეყნის საერთო მწუხარებას, დედა ენისა და სკოლის საუკეთესო ერთგულ მოსარჩლის, ნიჭიერ პედაგოგის იაკობ სიმონის ძის გოგებაშვილის დაკარგვის გამო.

—

ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ორ კლასიან სასწავლებლის მასწავლებელ-მოსწავლენი უგულითადეს მწუხარებას აცხადებენ ძვირფას და უბადლო პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

სკოლის ზედამხედველი
**გერასიმე ქიქოძე.**

—

მოკვდა დიდებული მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ფრთხილი დარაჯი და მუყაითი მშრომელი იყო. დაობლდა ქართული ენა; დავკარგეთ მოსავალი თაობის მამათმთავარი.

უერთდებით ქართველ საზოგადოებრივ გლოვას ასეთი პედაგოგის დაკარგვით ჩვენც ტფილისის ტრამვაის მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი.

სარდ. ფალავა, პორ. მეხუზლა, კ. კვინიხიძე, ს. წერეთელი, მ. კირტაძე, ე. სამხარაძე, ბ. გოგინავა, ვ. გოგინაშვილი, ს. ფრუიძე, ფ. ლორია, ვ. თურქაძე, რ. თარგამაძე, ე. კვირიხაძე, ი. კრაცაშვილი, ე. სალარაძე, ნ. ხოფერია, **ივანე ფალავა,** იოსებ დანელია, ალ. ტატიშვილი, ნესტორ გოგიჩაიშვილი, თეოფილე ჯიჯიეშვილი, სევერიანე მახარაძე, ილია ხვალდაგიანი, კ. ვარდიშვილი, კ. ნინუა, ს. ჯიბლაძე, ვ. ლეჟავა, ე. ჩხიკვიშვილი, ი. მუმლაძე მ. არნანიევ, ან. მგელაძე, კ. ჩხარტიშვილი, ს. მახარაძე, ალ. გახოკიძე, ა. მახარაძე, ალ. ვაშაყმაძე, რ. ჩიჩიეშვილი, ს. ბაქრაძე, შ. მრულიევი.

—

ჩვენს მწუხარე ხმას ვუერთებთ ქართველი ერის გლოვას და გოდებას სასიქადულო მამულიშვილის „მამა აღმზრდელის“ ი. გოგებაშვილის დაკარგვის გამო.

**ა. ზ. ბერელაშვილის** ღვინის სავაჭროში ქართველ მოსამსახურე მუშათა მინდობილობით **იაკობ სირაძე.**

—

სულით და გულით დამწუხრებულნი ჩვენი სამშობლოს ერთგულ დარაჯისა და დედა-ენის მომცემის პედაგოგ იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვით ვუერთდებით მთელს ჩვენს სამშობლოს მწუხარებას, და მისი ფონდის გასაძლიერებლად ვწირავთ ფულად ცხრა მანეთს. სასტუმრო „სვეტის“ ხელზე მოსამსახურეები დიმიტრი ბაქრაძე გრიშა ლორთქიფანიძე, და იოსებ მ. ნინიძე.

—

წაღვერში მცხოვრები ქართველები უერთდებიან ჩვენი სამშობლოს მწუხარებას დიდებულ მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვის გამო **გ. მ—ლი.**

—

**რაჭა.** ულრმეს გლოვა-მწუხარებაში ვიმყოფებით ველევის და ბეთლევის საზოგადოება, სამშობლო ქვეყნის დიდებულ ქართველთა პედაგოგის, პუბლიცისტის, ქართულ ენის განმამტკიცებელის, ბავშვების მეგობრის, ქართველ ერის ჭირისუფლის და ძვირფას მამულიშვილის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვისა გამო. მთელ მწუხარე სამშობლო საქართველოს შვილებთან, ერთად ვგლოვობთ ცრემლების ფრქვევით მის კორციელად დაკარგვას, და მუხლს ვიყრით მის მცხოვან უკუნისამდე დაუვიწყარ სამშობლოს მოტრფიალე გვამის წინაშე.

დიდება საფლავს და სახელსა შენსა კეთილო, ქართველ-შვილთა ენის დარაჯო.

მთელი საზოგადოების მონდობილობით [illegible].

—

დიდად დაგვამწუხრა და ძაძით შემოსა ჩვენი გული იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის დაკარგვამ. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო მასწავლებელო და ნამდვილ ქართულ ენის საძირკველო, იაკობ.

რაჭველების მონდობილობით სემონ ბოჭორიშვილი.

—

**თელავი.** დიდათ დაგვალონა სასიქადულო პედაგოგის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალებამ. დაგვიობლდა სახალხო სკოლები. ქართველ ერს მოაკლდა ერთგული დამცველი.

მასწავლებელნი: მ. მარკოზაშვილი და კოტე სეხნიაშვილი.

—

ჩვენ, ტფილ. სასულიერო სემინარიის ყოფილ მოსწავლეთა ერთ ჯგუფს, თავზარი დაგვცა დიდებულ სემინარიელის, ჩვენი პედაგოგიკის მამათ-მთავრის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ. დავკარგეთ საუკეთესო მცველი და დარაჯი დედა-ენისა. მდუღარე ცრემლებს ვაფრქვევთ ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის ძვირფასს ცხედრის წინაშე.

ამხანაგობის მონდობილობით.

**არისტ. გაბიჩვაძე.**

—

**ქუთაისი.** პატიოსან მებრძოლ და სამშობლო ენის დიდებულ დარაჯის—იაკობ გოგებაშვილის დაკარგვისა გამო ვუერთებ ჩემს მწუხარებას ჩვენი ქვეყნის საერთო გლოვას.

**ჯაფარ-ფაშა.**

—

**ახალციხე.** დიდად ვწუხართ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველთა პირველ აღმზრდელ-მასწავლებელის, მხცოვანი პედაგოგის ი. ს.-ძე პესტალოც — გოგებაშვილის დაკარგვისა გამო. იგი იყო სამშობლო სკოლებისთვის უშიშარი და მხნე მებრძოლი, რათა ჩაედგა მისთვის „დედა-ენის“ სული ნამდვილ ქართველობის აღსაზრდელად. წვრილფეხობა ჩემთან ერთად სწუხს 50 წლის მოღვაწე მოხუც მამას მესხეთის „დედა-ენის“ მკითხველნი პატარა მესხი-მოწაფეებიცა და ცხარე ცრემლს აფრქვევენ გამოსამშვიდობებლად მას წმიდა ცხედრის წინაშე.

მასწ. მესხი **კონსტ. გვარამაძე.**

ვწუხვართ და ვსტირით უბადლო ამულიშვილის და ნამდვილი მოქალაქის იაკობის დაკარგვას,—მაგრამ ცრემლს გვიშრობს ის იმედი, რომ მისგან დათესილი კეთილი თესლი მრავალს ნაყოფს გამოიღებს ჩვენი დაჩაგრული ერის საკეთილდღეოდ.. „არ არის მკვდარი ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენი“...

**ბართლომე კილაძე და მისი სტამბის მუშები.**

—

**ქიზიყი.** „დედა ენითა“ და „ბუნების კარით“ აღზრდილი ქიზიყელი ახალგაზდობა ცხარე ცრემლს აფრქვევს ძვირფას და მოამაგე მასწავლებლისა და მამის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

ქიზიყელ ახალგაზდობათა მონდობილობით **ნ. ახმეტელაშვილი**

—

მთელ ჩვენს სამშობლო-საქართველოს მწუხარებასთან ერთად ვგლოვობთ, მშობლიურ ენის დიად ბუმბერაზ და აღმზრდელ ქართველ ახალგაზდობის, დიდებულ და უბადლო სახელოვან ქართველ პედაგოგს, რომელსაც შესწირა უკვდავი სიცოცხლე და დაუტოვე ბნელში მყოფ ერს აღსადგენი იარაღი, იარაღი რომლის გონივრულ მოხმარებითაც იცოცხლებს ქართველი ერი და ვერვინ მოსპობს ქვეყნის პირიდან.

მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ მისი ცხედრის წინაშე ტფილისის ქართველი ახალგაზდა მუშები. ვკრებთ ჩვენ თანამოძმეთა შორის წვლილს და წარმოვადგენთ მალე, რომელიც მოხმარდება საყვარელ სამშობლოს კულტურულ დაწესებულებებს.

**ა. ხა.**

—

**დაბა ჭიათურა.** ჭიათურის ორკლასიან საეკლესიო სამრევლო სკოლის კორპორაციამ 5 ივნისს სკოლის შენობაში მოწაფეებისა, მათი მშობლების და მრავალ გარეშე პირთა თანადასწრებით გადავიხადეთ პანაშვიდი ჩვენი ეროვნული სკოლების მამათმთავრის, სახელოვანი პედაგოგ—პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის სულის მოსახსენებლად.

მასწავლებელნი: სკოლის გამგე მღ. ბ. ვაშაძე, სერგი კაპანაძე, ნინა დგებუაძე და სკოლის საპატიო მზრუნველი დიმიტრი აბაშიძე.

—

**გორი.** ადგილობრივმა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ მცხოვან პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო დაადგინა—გაიგზავნოს დეპეშა სადაც ჯერ არს თვის მწუხარებისა და თანაგრძნობის გამოსაცხადებლად და თვის თანხიდან გადასდოს 50 მანეთი. ეს ფული უნდა მიეცეს განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად ადგილობრივ საქალებო გიმნაზიის მეექვსე კლასის ერთ ქართველ მოწაფე-ქალს, რომელიც მშვენივრადა სწავლობს, მაგრამ უსახსრობისა გამო იძულებული ხდებოდა სწავლისათვის თავი დაენებებინა.

—

ხუთშაბათს, 7 ივნისს, მოხდა ქალაქის ხმოსანთა კერძო თათბირი, დადგენილ იქმნა შეიტანონ ქალაქის რწმუნებულთა თათბირზე გარდასაწყვეტად, რათა ქალაქმა თავის ხარჯით განთავისუფლოს ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებლის ორი მოწაფე სწავლის ფულისაგან სახელოვან პედაგოგის და სასიქადულო მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. ქალაქ გორის წარმომადგენლობა დასაფლავებაზე დასწრება ევალება დამსახურებულ და ყველასაგან პატივცემულ პედაგოგს ნიკ. ლომაურს.

**სანგანიძე.**

—

საუკეთესო მამულიშვილის, მცხოვანი პედაგოგის ი. ს. გოგებაშვილის გარდაცვალების გამო გამოწვეულ „საზოგადო მგლოვიარებაში გულითად მონაწილეობას იღებს ქუთაისის საქალებო საპროფესიონალო სასწავლებლის მასწავლებელნი და მოწაფენიც.

სასწავლებლის გამგე ევგენია კურძაია.

—

აგრეთვე სრული მონაწილეა საზოგადო მწუხარებისა დაუვიწყარი პედაგოგის ი. ს. გოგებაშვილის დაკარგვით ქ. ქუთაისის პირველ დასაწყისი საქალაქო მესამე სკოლის მასწავლებელთა კორპორაცია, რომელმაც მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

გამგე სასწავლებლისა ნიკოლოზ მესხი.

—

სამშობლოს კეთილდღეობისათვის ენერგიულ დაუღალავ მცხოვან პედაგოგის და პუბლიცისტის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვამ დიდად შეაწუხა ხარფუხის ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე და კრებაზე დაადგინა: 1) ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას 2) დაესწროს მის დასაფლავებას და 3) გვირგვინით შეამკოს მისი გვამი.

წრის მონდობილებით
**არჩილ შათირიშვილი.**

—

**ს. მოლითი.** თავზარი დაგვცა უძვირფასესი მასწავლებლის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალებამ. ვუერთდებით ჩვენი ერის საერთო მწუხარებას იშვიათი მამულიშვილის დაკარგვის გამო.

ვასილ ყიფიანი, თავ. ვანო ა. მიქელაძე, ალექსანდრე შატბერაშვილი.

—

გულით ვწუხვართ და ვგლოვობთ უძვირფასესის დაკარგვას — იაკობ გოგებაშვილისას. ის იყო მამა ჩვენის შვილებისა და მრავალთა სხვათა პირველად იმან მისცა ჩვენ (პატარა) შვილებს პირველი და უმთავრესი საზრდო ჭკუა-გონებისა თავისი შეუდარებელის დედა ენით, რომლითაც ვართ საუკუნოდ მადლობელ.

ქართულ გიმნაზიის
**მოწაფეთა მშობლები.**

—

ჩვენ, ტფილისის ქართველ ნოქართა ჯგუფმა დავადგინეთ, რომ შევაგროვოთ ჩვენ შორის წვლილი, რომელიც გადაეცემა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას იაკობ გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად (ნაცვლად გვირგვინისა) და მით ვუერთდებით ძაძით შემოსილს საქართველოს, ვიგლოვთ ქართული ენის ერთგულ დარაჯის იაკობის უდროოდ დაკარგვას, განისვენე მშვიდობით მშობლიურ ენის სულის ჩამდგმელო ყრმათა აღმზრდელო მამაო.

ჯგუფის მონდობილობით რ. ჯიბლაძე, კ. საგირაშვილი, ი. კურცხალია, გ. მანჯავიძე, ა. ელიავა.

ვსტირით და ვგლოვობთ მცხოვან პედაგოგ იაკობ სვიმონის ძის დაკარგვას.

ტიტა მშვილობაძე, ხარიტონ მანთიძე, იონა სიჭინავა, ლუკა ჭყონია, მაქსიმე ქორიძე, შუშანიკ მენაბდე. ლადო ცქვიტინიძე, ალექსანდრე დოლიძე, ნიკო დოლიძე, ევ. ჯიბლაძე. **ამაღლების მასწვლებელნი.**

—

**უგვიშის** სამრევლო სკოლის მასწავლებელ-მოსწავლენი ღრმად შეაწუხა დიდებულ პედაგოგის იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის დაკარგვამ. ქართულ ლიტერატურას გამოეცალა კიდევ ერთი ბურჯი. უსაზღვრო არის წუხილი ჩვენი, რომ ვერ მოვდივართ იაკობის ცხედრის წინაშე ცრემლის დასაფრქვევად.

მასწავლებელი **პლ. ხუციშვილი.**

—

**ს. იანეთი.** გამოუთქმელ მწუხარებაში ჩაგვაგდო „დედა ენის“ უმთავრეს ბურჯის შესანიშნავ პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვამ, რომლის სახელმძღვანელოებითაც აღზდილან ჩვენი მოწაფეები.

საპატიო მზრუნველი **იოსებ კობრეიძე.**

—

**ლანჩხუთი.** დიდად დაგვამწუხარა მცხოვან პედაგოგ იაკობ გოგებაშვილის დაკარგვამ, ცხარე ცრემლებით ვსტირით დაკარგულ იმედს.

პ. ჩხაიძე, ს. ძგელაძე, კ. ებრალიძე, ვ. სკურავა, დ. ქანტურიშვილი, ვ. ებრალიძე, ს. სანთელაძე. ე. ებრალიძე, ე. სკურავა შ. ებრალიძე.

—

უზომოდ გული დაგვწვა ნამდვილ ქართველისა და ადამიანის დაკარგვამ. იძინე მშვიდათ სამშობლო ენის მტრებთან ბრძოლაში მოხუცებულო და დაქანცულო მამავ.

**ახალი კლუბის მზარეულები:**

ალექსანდრე პავლეს-ძე გელაშვილი, ვასილი დვალი, ერმალოზ სიმონის ძე ხმელაძე, კოსტა იაშვილი, იასონ ლეშკაშვილი, სპირიდონ რაზმაძე, ვასო ბუდიანიშვილი, ლადიმერ სოხაძე, არჩილ დოკვაძე, იასონ ჯალაღონი.

—

**ქუთაისის ციხის** პირველი განყოფილების ტუსაღები, ღრმად დაღონებულნი საყვარელი—მასწავლებლის იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალებით, უერთებენ თავიანთ მწუხარებას იმ დიდ გლოვას, რომელიც არგუნა მისმა უდროოდ დაკარგვამ მთელს საქართველოს.

სადღა გვყავს მაგიერი მამა-მასწავლებელი? დაობლდა „დედა-ენა“ დაობლდა სკოლა!

**ტუსაღების მონდობილობით:** გიორგი მდივანი, დავით ღულაძე, ზაქარია გურული.

—

**გორი.** პატარა, ტურფა საქართველოს ცის კიდური კვლავ შავად შეიღება. სამშობლოს მოღვაწეთა მცირე რიცხოვან გუნდს მოაკლდა დიდებული პედაგოგი, სახელოვანი პუბლიცისტი და საუკეთესო ქართველი. დაგვიობლდა სკოლა, ენა, ოჯახი. ვინ გაგვიმრთელებს წყლულს, ვინ გაგვიწევს იაკობისებურ მამობას? მწარედ ვსტირი ძვირფას, აუნაზღაურებელ დანაკლისს და ჩემს ცრემლებს ვუერთებ მოქვითინე სამშობლოს გლოვა-წუხილს.

მასწავლებელი **მინად. კოკელიძე.**

—

**ზესტაფონი.** ვწუხვართ და ვგლოვობთ საუკეთესო მამულიშვილის და სამაგალითო პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის დაკარგავს გარდაცვალების გამო, დანიშნული წარმოდგენა 3 ივნისისათვის, გადაიდო—დასაფლავებამდე.

**მ. მდივანი, ვ. არაბიძე და ვ. ურუშაძე.**

—

ტფილისში მყოფნი რაჭველი მეთორნე მეპურენი ღრმად გულდაწუხებულნი ვართ ჩვენი შვილების აღმზრდელისა და საზოგადო დაუცხრომელ მოღვაწის იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის გარდაცვალების გამო.

განსვენებულმა იაკობმა თავის სიცოცხლეში დაუცხრომელად იშრომა, ქართველ ახალგაზდობის კეთილად აღზრდისათვის დასწერა ქართული „დედა ენა“, რომელიც უპირველესად ითვლება ჩვენ ქართულ სახელმძღვანელო წიგნებში.

შემოიარა ყველა კუთხე ჩვენი საქართველოსი და ასწერა ყველა კუთხის ადგილ მდებარეობა და მცხოვრებთა ზნე-ჩვეულება, რომელ წიგნსაც უწოდა „ბუნების კარი“ და არის სარკე ქართველთ ცხოვრებისა.

განსვენებული იაკობი უკანასკნელ გამოცემამდინ თან და თან აუმჯობესებდა მის მიერ შედგენილს დედა ენას და „ბუნების კარს“, ქართულ-რუსულ სახელმძღვანელო წიგნებს და სხვას.

დიდად სამწუხაროა ასეთი მოღვაწის დაკარგვა სამშობლო ქვეყნისათვის. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, ჩვენ შორის დაუღალავო მშრომელო და ქართველ ახალ გაზდობის აღმზდელ მამათ მთავარო, იაკობ.

ტფილისის მეპურეთა ამქრის მონდობილობით.

**იობ ისაკაძე. იოკიმე აგლაძე.** მირონ არჩვაძე, იასონ მაგრაქველიძე, აფრასიონ ისაკაძე, ასილო მაჩაიძე,

ქიტესა ომიაძე, მიხეილ ომიაძე, იაგორ სხირტლაძე, სოლომონ გიორგობიანი, აბიათარ გიორგობიანი, დავლოსტი კაციტაძე და ლუარსაბ აგლაძე.

## იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო

### შემოწირული ფული:

რედაქციამ მიიღო შემდეგ პირთაგან:

**გ. ახალციხელისაგან** ფონდის სასარგებლოდ 10 მ. **თამამშევის ქარვასლაში** მ. აბაშიძის მიერ შეკრებილი ფონდის სასარგებლოდ 30 მ.

**სინოდალურ კანტორაში** შეგროვილი (გვირგვინის მირთმევის მაგივრად) ან ფონდის ან ძეგლის სასარგებლოდ თანახმად დელეგატთა კრების გადაწყვეტილებისა 29 მ. 60 კ.,

დღევანდლამდე მიღებულია სულ 69 მ. 60 კ, „სახალხო გაზეთის“ კანტორა.

ჩვენ, ტფილისის შუა ბაზრის ოქრო-ვერცხლის ხელოსნებმა გადავსწყვიტეთ მცირედი წვლილი გამოვიღოთ ჩვენი სასიქადულო და დიდად მომაგის პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის პატივსაცემლად. ამასთანავე სურვილი გამოვსთქვით ეს ფული გვირგვინის მაგივრად მოხმარდეს მისივე სახელობის ფონდს როგორც გადაწყდება საბოლოოდ დელეგატების კრებაზე. გთხოვთ ეს ფული გადასცეთ ქ. შ. წ. ს. გამგეობას დანიშნულებისა დაგვარად მოსახმარებლად. ხელის მომწერთა სია:

აქსენტი ივანეს ძე ჯანგვალაძე 1 მ., მიხაილ იორდანეს ძე იმედაძე 1 მ., მიხეილ გ. დალაქოვი 1 მ. ნიკო ალექსის ძე გეორგობიანი 1 მ., ალექსანდრე ვასილის ძე ცომაია 1 მ., დავით. პ. პაპიშვილი 1 მ. სულ 6 მან.

—

რადგანაც ჩემი ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძის იაკობ გოგებაშვილის პატივსაცემლად მხოლოდ მისი სახელობის ფონდის გაძლიერება მიმაჩნია, ამისათვის გვირგვინის მაგიერ ვარდგენ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში ჩემს მცირე წვლილს სამ მანეთს აღნიშნულ ფონდისათვის.

**შალვა გოგებაშვილი.**

—

რადგანაც განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის პატივისცემის გამოსახატავად, გვირგვინის ნაცვლად, მისი სახელობის ფონდის დაარსება-გაძლიერება მიგვაჩნია, ამისათვის ჩვენც ვიღებთ მცირე წვლილს იაკობის ფონდისათვის.

ჯგუფი კიევის კომერციულ ინსტიტუტის სტუდენტებისა:

შალვა გოგებაშვილი 2 მ. ნიკო ზირახიშვილი 1 მ. გ. გულაშვილი 1 მან. კოტე კორძახია 1 მ. იოსებ ირემაშვილი 1 მ. პოლიევკტ აბესაძე 1 მან. სულ 7 მან.

—

გაახლებთ რა ამასთან 11 მან. 10 კ. ჩემ მიერ შეგროვილს **ს. საგარეჯოში** ნაცნობთა შორის, გთხოვთ ეს ფული შეუერთოთ იმ **ფონდს**, რომელიც არსდება ი. ს. გოგებაშვილის სახელზე. ამასთან იმედი მაქვს, რომ ამ ფონდის პირ და პირი დანიშნულება იქნება საზოგადოდ სახალხო სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძოდ კი ყოველ მხრივ ღაჩაგრულ სოფლის მასწავლებლების გონებრივი და ნივთიერი ამაღლება. ამნაირი დანიშნულება ზემოხსენებული ფონდისა სწორედ რომ შეთანხმებული იქნება ი. ს. გოგებაშვილის მოღვაწეობასთან და საუკეთესო პატივისცემა იქნება იმ ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა სახალხო სკოლას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ დღიდან საძირკველი ჩაეყრება სოფლის მასწავლებელთა გათვითცნობიერებას და ამ ფონდის დაარსებით ნიადაგი მომზადდება მათ შესაკავშირებლად.

**საგარეჯოს ორკლასიანი სკოლის გამგე პ. წირქვაძე.**

—

**ქართველ სტუდენტობის ერთს ჯგუფს** გადაუწყვეტია განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის კუბოს გვირგვინით შემკობის მაგივრად ამ მიზნისათვის შეგროვილი ფული განსვენებულისავე სახელობის ფონდს გადასცეს. ეს ფული რედაქციამ მიიღო და შესაფერი კვიტანცია მისცა ფულის მომტანელს.

—

ტფილისის 1-ლ გიმნაზიის მასწავლებელთა სია, რომელთაც შემოსწირეს ფული, გვირგვინის მაგიერ, განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის სახელობაზე დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ.

პ. ქ. აბულაძე 3 მ., მირ. ჯინორიძე 3 მ., ივ. ნიჟარაძე 3 მ., ნ. კანდელაკი 1 მ. ო. ყიფიანი 1 მ., ვ. ჯაფარიძე 2 მ., ლ. ს. გვარამაძე 2 მ., ალ. ციმაკურიძე 1 მ., ვოლოდკა 1 მ. პ. ზელენსკი 1 მ., პ. ზაჩინიაევი 1 მ., ლ. ნევტონოვ 1 მ., მ. სტას 1 მ., რ. მერრევიულ 1 მ., ი. დავითიშვილი 1 მ., ს. ანდრიაშვილი 1 მ.

**სულ 24 მ.**

—

**ნაძალადეველთა შორის შეკრეფილი:** ვასილ ნაცვლიშვილი 1 მ., გრიგოლ ჩარკვიანი 1 მ. ალექსი ნაცვლიშვილი 50 კ., ე. ლომიძე 50 კ. ექვთიმე მაისურაძე 40 კ., ლავრენტი ბარნაბიშვილი 1 მ. ნოვი ადიშვილმა 50 კ., კაპიტონ წიტაიშვილი 20 კ., უცნობი 50 კ., კოტე ჩარკვიანი 50 კ., დვალი ბესარიონ 1 მ. ერმალოზ კილიშვილი 50 კ., სილოვან თევზაძე 20 კ., იოსებ. კვანტალიანი 20 კ., პრიხოდ 50 კ., დეკანოზ მახათაძე 1 მ. ლ. ვასილიჩი 30 კ., მღ. ნ. მაღალდაძე 50 კ., მ. ღოღობერიძე 50 კ., ყალაბეგაშვილი სვიმონი 50 კ. სულ არის ჯამი 11 მ. 30 კ.

ხარჯი: სამგლოვიარო განცხადება და წმინ. სანთელი ეკკლესიაში პანაშვიდის დროს 7 ივნისს სამგლ. განც. 3 მან. სანთ. 60 კ. სულ 3 მ. და 60 კ. დარჩა შვიდი მან. და 70 კაპ.

—

ჩვენ რედაქციაში დღევანდლამდე შემოსულია:

| | |
|---|---|
| გ. ახალ ციხელისაგან ფონდის სასარგებლოდ | 10 მ. — |
| თამამშევის ქარვასლაში შეგროვილი ფონდის სასარგ. | 30 „ — |
| სინოდალურ კანტორაში შეგროვილი ფონდისა და ძეგლის სასარგ. თანახმ. დელეგატთა კრების გადაწყვეტილებისა | 29 „ 60 |
| შუაბაზრის ოქრომჭედელთა შორის შეგრ. ფონდისთვის | 6 „ — |
| შალვა გოგებაშვილისაგან ფონდისთვის | 3 „ — |
| კიევის კომერც. ინსტ. სტუდ. | 7 „ — |
| ნაძალადეველთა შორის შეგროვილი | 7 „ 70 |
| მიხ. სვ. ზედგენიძისაგან | 5 „ — |
| ტფ. სტუდენტ. შეგროვ. ფონდისთვის | 6 „ 50 |
| ნინიძისაგან, ლორთქიფანიისაგან და ბაქრაძისაგან ფონ. | 9 „ — |
| ს. საგარეჯოში შეკრებილი. | 11 „ — |
| იაკ. სვ. ზედგენიძისაგან. | 50 „ — |
| სულ | 168 მ. 40 კ. |

## იაკობ გოგებაშვილის წიგნები.

ორმოცდა შვიდის წლის განმავლობაში (1865—1912) დაიბეჭდა და გაიყიდა იაკობ გოგებაშვილის შედგენილი წიგნები ქართულსა და რუსულს ენაზე.

**ქართული წიგნები:**

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი (1865—1876) 60.000 ცალი, დედა-ენა ორივე ნაწილი (1876—1912) 577.000 ცალ., ბუნების კარი (1868—1911) 98.000 ცალ., კოკორი (1880—1910) 70.000 ც., კონა, ხუთი გამოცემა 6000 ც., იავნანამ რა ჰქმნა, 4 გამოც. 12.000 ც., ასპინძის ომი, 3 გამოც. 6000 ც., თავდადებულნი ქართველნი, ორი გამოც. 8.600 ც., მეფე ერეკლე და ინგილო ქალი 6000 ც., ხატის მიზეზი 1200 ც., ძოსავლის მცველნი 1200 ც., სხივი წარსულისა 1400 ც., აკიდო 1200 ც., საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მე-2 გამოც. 2400 ცალ., ბურჯი ეროვნებისა, ორი გამოც. 2400 ც., რანი ვიყავით გუშინ? 2400 ც., დარიგება მასწავლებელთათვის 1200 ც., ორი მოთხრობა: თავდადებული ეჯიბი, ქართვ. მეფე გლეხის ქოხში 1200 ცალი. **სულ 857600 ცალი.**

**რუსული წიგნები:**

Русское Слово, I, მე-20 გამოცემა 205.000, Русское Слово, II, მე-15 გამოც. 90 000, Методическое руководство для учащихъ, 3 600, Нормальное письмо 1.00, Разборъ учебныхъ руководствъ 1.200, Правда о Тифлисѣ, ორი გამოც. 2400, Къ вопросу о поднятіи образованія среди грузин. дворянст. 1200, О Грузинскомъ и русскомъ алфавитахъ 1200, Какъ поднять Кавказскую нар. школу 12000, Государственный языкъ въ Грузинск. начальн. школахъ 1200, Очеркъ сравнительной грамматики груз. и русск. языковъ 1 200. სულ 303.400.

**სულ ორივე ენაზე 1,167,000 ცალი.**

## სახელმწიფო სათათბირო

### 7 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **თ-დი ვოლკონსკი.**

საიდუმლო სხდომაზე მიიღეს შეთანხმებელ კომისიის მიერ დამუშავებული კანონ-პროექტი სამხედრო ბეგრის მოხდის შეცვლისა.

საიდუმლო სხდომა გათავდა. განსახილველია საკანონმდებლო მოსაზრება საყოველთაო სწავლების შემოღების თაობაზე.

მოსაზრება კომისიას გადასცეს.

მიიღეს 38 კანონ-პროექტი.

გადასწყვიტეს შეკითხვებს თავი დაანებონ და კანონ-პროექტები განიხილონ.

განიხილეს კანონ-პროექტი ძველი ნაშთების დაცვისა.

### 8 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **რომიანკო.**

განაგრძობენ კავკასიის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებათა გამო შეტანილ შეკითხვის განხილვას.

**გეგეჭკორი.** შეკითხვას იცავს, უპასუხებს იმათ, ვინც მთელ ერებს შეურაცყოფა მიაყენეს და კავკასიის ადმინისტრაციის წევრთა მოქმედებას დაწვრილებით ახასიათებს. სრულიად საკვირველი არ უნდა იყვეს ძარცვა-გლეჯა ამის მიზეზია თერგის ოლქის ადმინისტრაცია, რომელსაც დემორალიზაცია შეაქვს ხალხში, და ხალხის სიღარიბე. მოსპეთ ორი მიზეზი და ძარცვა-გლეჯასაც ნიადაგი გამოეცლება. მაგრამ ვიდრე კავკასიაში ადმინისტრაციის ზელიმხანობა გამეფებულა, ყაჩაღობასთან ბრძოლა ყოველთვის უნაყოფო იქნებაო.

**ხოვიცკი** მე-2. უკმაყოფილოა კავკასიის ადმინისტრაციისა, ჯეროვნად ვერ იცავს რუსებს, რომელნიც კავკასიელებს დაუჩაგრავთო.

**ლისიჩკინი.** წინააღმდეგია შეკითხვისა და ამბობს, რუსებს კავკასიაში სიყვარულისა და კულტურის მეტი არა შეგვიტანიარაო.

შეკითხვა კავკასიის ნამესტნიკისადმი ერთხმად მიიღეს. მიიღეს ოქტომბრისტების ფორმულა! საჭიროა თერგის ოლქის ადმინისტრაციის მოქმედების გამო სენატორის რევიზია დაინიშნოს. კავკასიის წინსვლისათვის საჭიროა ყუბანისა და თერგის ოლქის განცალკევება კავკასიის სანამესტნიკოში, განათლების გავრცელება, ყველა კუთხის მცხოვრებთათვის თანასწორად ზრუნვა და კავკასიის მართვა-გამგეობის მინისტრთა საბჭოს ხელში გადასვლაო.

განსახილველია მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის გამო შეტანილი შეკითხვა.

**მილიუკოვი.** მოითხოვს, ჯერ განვიხილოთ იუშჩინსკის მოკვლის შეკითხვა, რადგან თუ ამას არ ვიზამთ, მესამე სათათბიროს შუბლზე სამარცხვინო დაღი ექნებაო.

მილიუკოვს ეძმობა, რასაკვირველია სხვა მოსაზრების გამო, მემარჯვენე **ზამისლოვსკი.**

**ჩხეიძე.** სოციალ-დემოკრატების სახელით მოითხოვს, იუშჩინსკის მიერ წამოყენებული შეკითხვა უეჭველად უნდა განვიხილოთო და დასმენს, ებრაელების შემზღუდავი კანონები უნდა მოისპოსო.

**პურიშკევიჩი.** სოციალ-დემოკრატებს ლანძღავს და წინააღმდეგია შეკითხვის განხილვისა. თუ მაინცადამაინც ლაპარაკს დავიწყებთ, მემარჯვენეებმა რაც შეიძლება მეტი სიტყვა უნდა მოისმინონ მარცხენა მხარეს მსხდართა და ტილიან მოხუტიალეთაო (მემარცხენენი ყვირიან და ხმაურობენ, იძახიან: „გააგდეთ, გააგდეთო!“).

თავმჯდომარემ სიტყვა წაართვა პურიშკევიჩს.

**გეგეჭკორი.** მომხრეა შეკითხვისა. ეხლა იუშჩინსკის საქმის ახალი ცნობები გამოირკვა და უეჭველად უნდა წავართვათ საშუალება მემარჯვენეებს ამ საქმის საპაგრომოდ“ გამოყენებისაო.

დაგვიანებისა და დეპუტატთა წასვლის გამო სხდომა დაიხურა.

შემდეგი სხდომა მოხდა 9 ივნისსა.

## ჟურნალისტის დღიური.

### კიდევ არჩევნებზე.

### 70.

ჩემმა წერილმა თავად-აზნაურთა არჩევნების შედეგის შესახებ ბევრი ლაპარაკი გამოიწვია საზოგადოებაში. ბაგრატიონ-დავითიშვილის ქომაგობას მწამებენ არა მარტო „ზაკავკაზიე“, რომელზედაც ქვემოდ მექნება საუბარი, არამედ ჩემი თანამოაზრენიც, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ დავუბრუნდე ამ საკითხს და უფრო გარკვევით გამოვსთქვა ჩემი შეხედულება არჩევნების შედეგზე. გაუგებრობა წარმოსდგება იქიდან, რომ საზოგადოების ფართო წრეებში ისეთი აზრი ტრიალებს თითქო ადამიანი შეიძლება ან სავსებით ოპოზიციის მხარეს იყოს, ან კიდევ დამარცხებულ ჯგუფისა. ნამდვილად კი არსებობს ისეთი მდგომარეობაც, როდესაც არც ერთი და არც მეორე მხარე სავსებით არ გვაკმაყოფილებს. როდესაც „ოპოზიციაზე“ ვლაპარაკობდით, არ შევჩერდით სიჩუმით გაგვევლო გვერდით და არ აღგვენიშნა ის გარემოება, რომ მრავალ საკითხებში თავი იჩინა დამარცხებულ და გამარჯვებულ ჯგუფთა აზრთა ერთგვარობამ. ჩვენის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში მოქმედებდა საერთო თავად-აზნაურული ფსიხოლოგია, დ. ზ. მელიქიშვილის სახელმა რომ ერთბაშად ორგანიულად შეაერთა მოწინააღმდეგენი, ეს შემთხვევითი და გარდამავალი მოვლენა არ არის. მას ღრმა ფსიხოლოგიური საფუძველი აქვს, და ვისაც ჰსურს პოლიტიკურ აზროვნებაში მთლიანობა და სიწმინდე დაიცვას, ამ გარემოებას იმდენად ძლიერად უნდა გაესვას ხაზი, რომ მკითხველზე სათანადო შთაბეჭდილება მოახდინოს.

„ზაკავკაზიე“-მ კი ამ ჩვენს პრინციპიალურ მოსაზრებას განზრახ გვერდი აუქცია და დაუმალა მკითხველებს, რომ, თუ ჩვენ უარყოფით მოვექეცით ოპოზიციის ზოგიერთს ნაბიჯებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ჯერ ისევ ცოცხლობს უარყოფითი თვისებანი დამარცხებულ ჯგუფისა, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავს „ზაკავკაზიე“ და რომლის მოსარჩლეობასაც იგი თავზე გვახვევს, რომ უფრო ადვილად შესათვისებელი გახდეს ჩემი აზრი, ამნაირად გამოვსთქვამ: ოპოზიციის სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მასში ჯერ კიდევ არსებობს თითო პატარა მაჩაბელი და ბაგრატიონ-დავითიშვილი, თუ ამ პირებს საზოგადოებრივ ღირებულების თვალსაზრისით შევაფასებთ. მხოლოდ „ზაკავკაზიე“-ს შეეძლო აქედან ის დასკვნა გამოეტანა, რომ ჩვენ ან მაჩაბლისა ან კიდევ ბაგრატიონ-დავითიშვილის მოღვაწეობის მომხრენი ვართ. პირიქით, ამ უკანასკნელთა უარყოფითი თვისებანი გავიხადეთ საზომად ოპოზიციის შესაფასებლად.

და რომ მათი მოღვაწეობა უარყოფითი იყო, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. „ზაკავკაზიე“ სწერს უკანასკნელ ნომერში, თ-დი ბაგრატიონი მსუბუქადაა დაჭრილი, მაგრამ მისი არმია ძლიერიაო. პირიქით, თუ სინამდვილეს პირდაპირ შეხედავთ, დაინახავთ, რომ დამარცხებულია არა იმდენად ბაგრატიონ-დავითიშვილი, რამდენადაც „არმია“ და მისი იდეოლოგი, თ-დი მ. ვ. მაჩაბელი. მაჩაბლის „არმიის“ დამარცხება კი ნიშნავს დამარცხებას იმ პოლიტიკისას, რომელსაც დიდი ხანია აწარმოებდა დეპუტატთა საკრებულოში. ეს პოლიტიკა კი იყო პოლიტიკა თავად-აზნაურთა განკერძოებისა. დედა-ძარღვი თ-დ მ. ვ. მაჩაბლის „სიბრძნისა“ იმაში მდგომარეობდა, რომ მას უნდოდა გადაექცია დეპუტატთა საკრებულოისეთს დაწესებულებად, რომელიც თავის მძიმე და უხეშავ ხელს დაადებდა ყველა ქართულ დაწესებულებებს. მ. ვ. მაჩაბელსა და მის დამქაშებს უნდოდათ გადაექციათ დეპუტატთა საკრებულო იმ ცენტრად, რომლის გარშემოც უნდა დატრიალებულიყო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. სწორედ ამიტომაც დეპუტატთა საკრებულო განსაკუთრებულის თანაგრძნობით ეკიდებოდა ისეთს დაწესებულებებს, რომელნიც მათს პირდაპირ გავლენის ქვეშ იყვნენ და მტრულად ექცეოდნენ ისეთებს, რომელნიც დეპუტატთა საკრებულოსაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. მახსოვს მ. ვ. მაჩაბლის ერთი ფრაზა, რომელიც ყველაფერზე უკეთესად გამოჰხატავს მისსა და მის დამქაშების სულის კვეთებას და რომელიც არასოდეს არ ამოიშლება ჩემის მეხსიერებიდან: „რა უბედურებაა, ქართულ გიმნაზიას ფულს ჩვენ ვაძლევთ და პატრონად კი ყველა სამ მანეთიანი წევრი შეიძლება გადაიქცესო“. ის, რაც სხვას ბედნიერებად მიაჩნდა, მ. ვ. მაჩაბლის მწუხარების საგანს შეადგენდა.

ეს იყო პოლიტიკა წოდებრივ დაწესებულებათა უფლებებისა და გავლენის გაფართოებისა.

აღარაფერს ვიტყვით მრავალ სხვა უარყოფითს მხარეებზე. დადგება დრო და ეს უარყოფითი მხარეებიც მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გადაიშლება ქართველ საზოგადოების თვალ-წინ.

მ. ვ. მაჩაბლის დამარცხება ნიშნავს დამარცხებას იმ პოლიტიკისას, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ის და მისი თანამოაზრენი აწარმოებდნენ და ამიტომ შეუძლებელია ეს სამწუხაროდ დარჩეს ქართველ საზოგადოების პროგრესიულ ნაწილს, როგორც ამას „ზაკავკაზიე“ ბრძანებს.

**შინაური.**

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **დიდუბის ეკლესიის** მეორე მღვდელი გურგენიძე რკინის გზის ეკლესიაში გადაიყვანეს, მის ადგილს დანიშნეს ალექსანდრე ნეველის ეკლესიის (ალექსანდრეს ბაღში) მღვდელი ლაზოვი. უკანასკნელის ადგილას მღვდელი ბ. შუბლაძე დანიშნეს.

✦ გამოვიდა და იყიდება ახლად გარდაცვალებულ ჩვენ მცხოვან პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის **იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის სურათი მის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.**

✦ **პოლიცმეისტრ-ს სამმართველოს გაფართოვება** მოკლე ხანში განზრახული. ქალაქის საბჭო ამ საკითხს საბოლოოდ 11 ივნისის კრებაზე გადასწყვეტს, ესავე კრებაზე გადასწყვეტს საკითხს იმის შესახებ, თუ რა პენსია დაინიშნოს 25 წლის სამსახურისთვის ქალაქის სავაჭრო სამეურნეო უფროსად ნამყოფს ზ. ს. ბაბოვს, რომელმაც სამსახურს თავი დაანება.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი** გუშინ, დილის მატარებლით, ბათუმს გაემგზავრა, საიდანაც რუსეთს წავა ორის თვით დასასვენებლად. ეგზარხოსი რკინის გზის სადგურამდე გააცილეს ბაქოს ეპისკოპოსმა პიმენმა, ეპისკოპოსმა-ანტონმა და სასინოდო კანტორის უფროსმა მოხელეებმა.

✦ ამ დღეებში ტფილისში უკვალოდ დაიკარგნენ სტეფანე პოპოვი და გაბრიელ ალექსიძე. მიღებულია ზომები მათ მოსაძებნად.

✦ **წყალსადენი** ქალაქის გამგეობამ მოხსენება შეადგინა იმ ზომების შესახებ, რომელიც საჭიროა ავჭალის წყალსადენის გასაუმჯობესებლად და განსახილველად ქალაქის საბჭოს 11 ივნისის კრებაზე შეაქვს.

8 ივნისს, საღამოს 10 საათზე, ოქრომჭედლების ქუჩ, მდებარე სახლის № 48 ეზოში, ნაგვის ყუთში იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, მდედრობითის სქესისა. მასთან ერთად იპოვეს ბარათი, სადაც ეწერა; „დაიბადა 7 ივნისს. მოუნათლავია.“ ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 11 ივნისს, მოხდება. განსახილველი აქვს 31 საქმე. ამათში ორია ისეთი საქმე, რომლის განსახილველადაც 40 ხმოსნის დასწრება არის საჭირო. თუ ამ დღეს საბჭომ ყველა საქმის განხილვა მოასწრო, მაშინ ეს კრება ამ სეზონში უკანასკნელი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი კრება კიდევ გაიმართება.

✦ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის** კრება 8 ივნისს მოხდა. თავმჯდომარემ აცნობა კომისიას, რომ ამ ჟამად ქალაქში დიდძალი საკლავი მათმა ფასმა შესამჩნევად დაიწია და ამიტომ შესაძლებელია ხორცის ნიხრიც შემცირებულ იქნასო. კრებაზე გამოირკვა, რომ ყასბებს ერთი ფუთი ძროხის ხორცი 4 მან. 50 კაპ. უჯდება, ე. ი. გირვანქა 11¼ კაპ. კომისიამ გირვანქა ხორცზე ასეთი ნიხრი დააწესა: ძროხისაზე—12 კაპ. ნაცვლად ახლანდელ 14 კაპ., ცხვრისაზე—14 კაპ. ნაცვლად 15 კაპ., ბატკნისაზე—15 კაპ. ნაცვლად 16 კაპ, და კამეჩისაზე—7 კაპ. ნაცვლად 8 კ. ახალი ნიხრი დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს 11 ივნისის კრებას წარედგინება.

### სასწავლებლებში

✦ **პირველ სავაჟო გიმნაზიის ინსპექტორი** ს. ა. დავიდოვი სტავროპოლის გიმნაზიის ინსპექტორის მოვალეობის ამსრულებლად დაინიშნა.

### სასამართლო

✦ **ტფ. სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი** ა. ნ. სილანი ბათომიდან ტფილისს დაბრუნდა.

## მოგონებანი ეფრემ-ხანის შესახებ

(დასასრული)

შევედით კარგა მოზრდილ ოთახში, რომლის კედელ-იატაკი მოფენილი იყო სხვა და სხვა ფერ ნოხფარდაგებით. ოთახის ერთს კუთხეში ღია ფანჯარასთან ნოხზე მოკეცა ოთხ ადამიანს, რომელთაც წინ ედგათ ვერცხლის [illegible] ჩაის მოწყობილობით და სპარსული ყალიონებით [illegible] როდი ეფრემს, რომელიც კრძალვით მიესალმა შუაში მჯდომს და მომიბრუნდა:

— მინისტრი სარდარ-ასადი!

იმდენად განსხვავებული წარმოდგენა მქონდა ბახტიარების ხანზე, რომელმაც მთელი ქვეყანა გააკვირვა თვისი მხნეობითა და კონსტიტუციის ერთგულებით, რომ თვალს არ უჯერებდი ნახულს. ჩემის წარმოდგენით იგი უნდა ყოფილიყო მაღალი, მოსული შეხედულობისა და სახის კუშტი გამომეტყველების ტიპიური სპარსელი, ე. ი. ნამდვილი თავისუფალი შვილი საბახტიაროს ვერანა და მიუდგომელ მთებისა. ხოლო ნამდვილად კი ჩემს წინ იყო პატარა ტანის მოხუცი, ინით ნაღები თმა-წვერით და დიდრონი შავი სათვალით. ეს იყო უბრალო იერის მკრთალი სპარსელი, რომელსაც მრავლად ვხედავდი ხოლმე მოგზაურობის დროს. თვით ტანსაცმელიც კი არ განასხვავებდა მას დანარჩენთაგან: თავს ეხურა სპარსული, რგვალი შავი ქუდი; ტანზე ჩვეულებრივი, ახალუხის მსგავსი „სარდარი“, ხოლო წელზე —არ ვიცი კი რათა—პატრონტაშით სავსე პატრონტაში ერტყა. შესვლისას იგი ჩაის მიირთმევდა და წყნარად ებაასებოდა მის გვერდში მჯდომთ, რომელთაგანაც ერთი-როგორც მერე შევიტყვე, განთქმული მუშტეიდი ყოფილიყო.

მძიმედ თავი დავუკარი და ვამცნე ჩემი ვინაობა.

მან ღიმ-მორეული თვალი მომაპყრო და მანიშნა დაბრძანდითო. გამიკვირდა: მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ სკამი, ან მისი მზგავსი რამ ვერსად შევამჩნიე. ერთ წუთს ვყოყმანობდი, არ ვიცოდი რა მექნა, როგორ დავმჯდარიყავი. უხერხულ მდგომარეობიდან გამომიყვანა ისევ ეფრემმა—როცა დავინახე, რომ მან პირდაპირ ნოხზე მოიკეცა, მეც აქლემივით ჩავიჩოქე და მივყევ მის მაგალითს, თუმცა მუხლებმა კი ტკაცუნი შეჰქნა, მაგრამ მეტი გზა არ იყო.

ეფრემმა დაწვრილებით გააცნო ჩემი ვინაობა და მგზავრობის მიზანი. იგი თვალს არ მაცილებდა და კითხვას კითხვაზე აძლევდა ეფრემს. ბოლოს უეცრად მომმართა ფრანგულ ენაზე, რომელსაც თავისუფლად ლაპარაკობდა:

— ფრანგულად ხომ არ ლაპარაკობთ? როდესაც დასტური ვუთხარი, დიდად იამა და მოჰყვა ქართველების ქებას. დაწვრილებით გამომკითხა ქართველთა ყოფა-ცხოვრების ამბავი: როგორ ცხოვრობთ, რიცხვით რამდენი ხართ, არის თქვენში სწავლა-განათლება და ეროვნული შეგნება, თუ არაო. ეტყობოდა, ბევრი არა იცოდა რა ჩვენი ახლანდელი მდგომარეობის შესახებ. თითქოს მიხვდაო ჩემს იდუმალ აზრს, მან ცოტა დარცხვენილი კილოთი მითხრა:

— მართალია თქვენს წარსულს უფრო კარგად ვიცნობ, ვიდრე აწმყოს, მაგრამ ცოტა რამ მაინც გამიგონია თქვენი ეხლანდელი მდგომარეობისა. როგორც წარსულში ყოფილხართ მამაცი და გულადი, ისეთივე დარჩენილხართ დღესაც. არ გეგონოთ, ვითომც პირში გეფერებოდეთ—მე საკმაო საბუთი მაქვს ამის დასამტკიცებლად—ქართველებმა მეტად დიდი ამაგი დაგვდეს ჩვენ, სპარსელებს, ტირანიასთან ბრძოლაში. მე პირადი მოწმე ვიყავი მათი ვაჟკაცობისა და თავგანწირულებისა, რისთვისაც ყოველი შეგნებული სპარსელი მუდამ გულწრფელი სიყვარულითა და პატივის ცემით მოიხსენიებს მათ სახელს. თუმცა წარსულში ბევრი წყენა მიგვიყენებია ერთმანეთისთვის, ბევრი უდანაშაულო სისხლი გვიღვრია, მაგრამ ის შავბნელი დრო წავიდა დაუბრუნებლად. დღევანდელმა ჩვენმა ყოფამ ის შეგნება მოგვცა, რომ მხოლოდ მეზობელ ერთა ძმური განწყობილება და სიყვარული გვიხსნის დაღუპვისაგან. მე ვხედავ კიდეც ნიშანს ამ ძმური მეზობლობის დასამყარებლად, ამის საბუთია ის დიდი ამაგი, რომელიც ქართველებმა დაგვდეს. „ქართველებმა ჩვენი მამების სული აცხოვნეს“-ო.

დაასრულა მან სიტყვა. ამასობაში ჩაი მოგვართვეს და საუბარი სპარსეთის მაშინდელ მდგომარეობაზე გადავიდა. გაგონილი მქონდა, რომ სარდარ-ასადი განათლებული სპარსელთაგანია, დიდხანს უცხოვრია ევროპაში და ამიტომ მსურდა გამეგო, თუ რა აზრისა იყო იგი თვისი ქვეყნის აწმყო მომავალზე. მაშინ იგი შინაგან საქმეთა მინისტრად იყო და, მაშასადამე, სრული შეძლება ჰქონდა ფართოდ გაეშალა სამოქმედოდ თვისი ცოდნა და ნიჭი.

— როგორია თქვენი მოქმედების უახლოესი პროგრამა? შევე-

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 620.

კითხე მას, როცა საუბარი ცოტათი მინელდა. იგი უეცრად წელში გაიმართა, თითქოს იგრძნო საკითხის სიმძიმე და თავსა სცდის— შემიძლიან მისი ასრულება, თუ ვერა—და მოკლედ მიპასუხა:

— პროგრამა? კონსტიტუციის გამაგრება და სპარსეთის აღორძინება—აი ჩემი პროგრამა! მართალია იგი მეტად სადა და ფართოა, მაგრამ სხვანაირად მისი დახასიათება და წარმოდგენა მე არ ვიცი. პირველი მორიგი საკითხი, რომლისაკენაც მიპყრობილია დროებითი მთავრობის მთელი ყურადღება, მიმოსვლისა და სწავლა-განათლების საკითხია. როგორი წყობილება უნდა იყოს იმ ქვეყანაში, სადაც ხალხისაგან არჩეული საკანონმდებლო პალატის წევრი ერთს თვეს უნდება დანიშნულ ადგილს მოსვლას. განა შეიძლება ძლიერი მთავრობის შექმნა იქ, სადაც მხოლოდ ერთი პაწია რკინის გზის შტოა და იმასაც სასაფლაოზე მიჰყევხარ? სწავლა-განათლების უქონლობაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. დიახ, ეს ასე გახლავთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ყველა ამის გაკეთებას ფული უნდა, დიდძალი ფული, ჩვენ კი არა გვაქვს. ამას წინად მიმდინარე ხარჯების დასაფარავად იძულებული გავხდით მარილზე დაგვედო ბაჟი, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მცხოვრებთა შორის. განა არ ვიცი, რომ ასეთი უკიდურესი ზომა ვერაა სახეირო და სამართლიანი, მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუ მეტი გზა არ დაგვრჩენია. განზრახული გვაქვს აგრეთვე ფინანსების საქმის რეორგანიზაცია, რომელიც ძირიანად შესცვლის გადასახადის აკრეფის ძველ წესს. ერთი სიტყვით: სამუშაო ბევრი ექნება მომავალ მეჯლისს. დარწმუნებული ვარ იგიც პირნათლად შეასრულებს ნაკისრ მოვალეობას, მხოლოდ საქმე ისაა, თუ გარეშე მიზეზებმა ხელი არ შეგვიშალა და გვაცალა მყუდრო მუშაობა...

როგორი მტკიცე იმედი და რწმენა იხატებოდა მოხუცი ბახტიარის სახეზე იმ დროს, როცა იგი თავისი საყვარელ სამშობლოს აღორძინებაზე მსჯელობდა!

„ნეტარ არიან მორწმუნენი"—მეთქი გავიფიქრე და წასასვლელად მოვემზადე. უკვე შუა ღამე იქნებოდა. როცა გამოვეთხოვეთ მინისტრს, რომელმაც დიდი დახმარება აღმითქვა ჩემგან განზრახულ მოგზაურობის საქმეში.

— როდესაც დააპიროთ თეირანიდან გამგზავრება, ნუ დაიზარებთ და შემოიარეთ კიდევ ჩემთან - საკუთარ ცხენს მოგართმევთ და წერილსაც მიგიწერთ ისპაჰანს ჩემს ძმასთან, სამსამ-უს სალთანესთან! მითხრა და მშვიდობის მგზავრობა მისურვა.

როცა ეტლში ჩავჯექით და ნელნელა გამოვერკვიე ყველა იმ შთაბეჭდილებიდან, რომელიც მინისტრთან ბაასის დროს მივიღე, სრულიად გულწრფელად ვუთხარი განსვენებულს ეფრემს:

— ეგ თქვენი განთქმული სარდარზადი, შეიძლება კარგი მეომარი იყოს, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი კი მეტად უბრალო და გულუბრყვილოა.

— „სპარსეთის ახალი ცხოვრების უბედურებაც სწორედ ეგ არის, რომ დროის შესაფერად მომზადებული პირები არ მოიპოვებიან და ქვეყნის მართვის საქმეს სათავეში უცხოელნი უდგანან".—გულწრფელ გულმტკივნეულობით მომიგო მან. იგი კარგად გრძნობდა, რომ სპარსეთის მკვიდრნი გულდანდობით ვერ მოეკიდებოდნენ მის მოღვაწეობას, როგორც უცხოელისას, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა და, რადგანაც ღრმად სწამდა, რომ ადრე თუ გვიან ცხადლივ გამოჩნდებოდა მისი ნამდვილი სულისკვეთება, და ის მიზანი, რომელიც მას ასულდგმულებდა, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლს.

— ძნელია იმ გვარს ატმოსფეროში მუშაობა, სადაც შენივე გულშინდელი მეგობარი და თანამებრძოლი ეჭვის თვალით უყურებს ყოველ შენს ნაბიჯს, მაგრამ ეს მაინც ვერ შემაცვლევინებს ერთხელვე დასახულ მიზანს, რომელსაც დღემდის უანგაროდ და გულწრფელად ვემსახურები!—მითხრა განსვენებულმა გამოთხოვების დროს. და რაინდულად აასრულა კიდეც თვისი ნათქვამი: მან სიცოცხლეც კი არ დაიშურა იმ ხალხის კეთილდღეობისათვის, რომელიც, ვინ იცის, იქნებ ეჭვის თვალით უყურებდა მართლაც მის საარაკო მხნეობასა და მოღვაწეობას.

ა. ჭუმბაძე.

## ქართულ ფილარმონიულ საზოგად. წლიური კრება

კრება დაიწყო საღამოს 9 საათზე. დაესწრო 21 კაცი. საზოგადოებას კი 55 წევრი ჰყავს. კრების დაწყებისას გამგეობის თავჯდომარემ თულაშვილმა კრებას მოახსენა იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების ამბავი. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მის ხსოვნას. აგრეთვე ფეხზე ადგომით სცა პატივი მიზანდარის, რატილისა და ერისთავის ხსოვნას. ამის შემდეგ თავმჯდომარედ ამოირჩიეს მღვ. ი. ჩიჯავაძე. წაიკითხეს წინა კრებების ოქმი, რომელიც მთლად მიიღეს. მიიღეს ახალი წევრები. შემდეგ წაიკითხეს 1911 წ. მოქმედების ანგარიში.

საანგარიშო წელს, საზოგადოების გამგეობას 16 კრება ჰქონია. ანგარიშებიდან სჩანს, რომ 1911 წ. გამგეობას არ გაუმართავს არც კონცერტები, არც ოპერები და არც სხვა რამ უსახსრობისა გამო. ამას ხელი შეუშალა აგრეთვე საზოგადოების უმთავრესმა მიზანმა, ქართულ სახალხო სიმღერების შეგროვებამ. ამ საქმეს გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს და დროსა და ფულს მას ახარჯებს. ოპერები ვერ გაუმართავს გამგეობას კიდევ იმ მიზეზით, რომ საამისოდ ორკესტრი არა ჰქონია. საზოგადოების სამუსიკო სკოლის ანგარიშიდან გამოირკვა, რომ სკოლაში ქართველი მოწაფე 108 ყოფილა, რუსი 17, სომეხი 19, გერმანელი 1 და სხვა. სკოლის ინვენტარი 143 თუმნისაა.

**პ. მირიანიშვილი** (სარევიზიო კომიის წევრი). რა პროგრამით ასწავლით სამუსიკო სკოლაში?

**თულაშვილი.** სკოლის პროგრამა ისეთივეა, როგორც საიმპერატორო სამუსიკო სკოლებისა.

**ფალიაშვილმა** პროგრამა დაწვრილებით განმარტა.

ამის შემდეგ საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ანგარიშს ჰკითხულობენ, წაიკითხეს ჯერ ქართულად, მერე რუსულად ერთი წევრის გულისათვის.

სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან სჩანს, რომ გასავალი 244 მან. და 13 კაპ. მეტი ყოფილა შემოსავალზე. კომისიის აზრით, სკოლის კარგ ნიადაგზე დასაყენებლად საჭიროა გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქციოს თუ როგორ სწარმოებს სწავლება. საჭიროა აგრეთვე საზოგადოების ბუხჰალტერიის რეორგანიზაცია. ამას გარდა სარევიზიო კომისია გამგეობას ემდურება, ქართული სიმღერები როიალისათვის ნოტებზე არა აქვთ გადა- ღებულიო.

**მღ. ვ. კარბელაშვილი** (არა წევრი). 1905 წ. აზრი გამოითქვა, რომ საზოგადოება ქართულ მუსიკას სათავეში უნდა სდგომოდა, მაგრამ ამას გზა აუქცია. ქართველ ქალს ქართულ მუსიკისათვის ყური დაუჩლუნგდა. საჭირო იყო ქართული მუსიკა ევროპიულ მუსიკას საფუძვლად დასდებოდა. ქვაშვეთის ეკლესიაში ბევრი რამ ისეთი გავიგე, რომლისაც არ მესმის, თუ საიდან წარმოსდგა იგი. იქ რაღაც ახალი ჰანგებია. ქართული დედანი არის და რად უქცევენ მას გვერდს. ქართულ სიმღერების 4 ხმაზე გადაღება შეუძლებელია. ეს სტილსა და ხასიათს უკარგავს. საერო მუსიკა ბევრი არ მომისმენია, მაგრამ საქმე იქაც ასეთვეა. ქართულ მუსიკას საგანგებო თანხა უნდა გაუჩნდეს, რათა იგი გადავარჩინოთ.

**ფალიაშ.** საზოგადოება სცდილობს მაგასა. ჩვენი შემოსავალი თავად-აზნაურ. მოცემული ფულია. ამ ფულის მეტი ნაწილი მაგ საქმეს ხმარდება. დედანი არ არის, არ არის მასალა. ვისაც აქვს, მოგვცეს და გამოვიყენებთ. იპოლიტოვ-ივანოვმა 2000 ნომერი ჩასწერა. მე რამდენიმე ნაჯღაბნი მაქვს.

**მღვ. კარბელ.** რაც არის ჯერ ის ისარგებლეთ. მოაწყეთ ქართული სიმღერა 3 ხმაზე. იპოლიტოვ-ივანოვმა 500-იც არ გადაიღო. რაც არის ის აჩვენეთ ხალხს.

**ი. ბაქრაძე** (რუსულად). როგორც გავიგე საზ. აზრი ქართულ მუსიკის შენახვაა. მაგრამ მოხსენებიდან ვერ გავიგე ამ დედააზრის ასასრულებლად საზოგადოებამ რა გააკეთა? შეიძლება აქ ხელს უშლიდეს ის გარემოება, რომ 5 წელიწადში თქვენ მხოლოდ 45 წევრი გყავთ. სკოლა კარგადაა დაყენებული თუ არა, ვერც ეს გავიგე. სარევიზიო კომისია რაღაცას გემდურებათ, აქ რაღაცას ჰმალავენ. გავიგე, შეიძლება ჭორი იყოს, მასწავლებელი ქალები სკოლაში არ დაიარებიანო.

**მირიან.** გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქციოს სკოლის პროგრამას. არა იმას, თუ როგორ ასწავლიან, არამედ იმას, თუ რას ასწავლიან. ქართული სიმღერები როიალისთვის არ არის გადაღებული და ეს ქართულ მუსიკის გავრცელებას აფერხებს. სკოლა ქართული არ არის, არამედ ჩვეულებრივი, ევროპიული. ეს ვერ დაგვაკმაყოფილებს. ჩვენ გვინდა, ქართული მუსიკა ხალხში გავრცელდეს. სკოლა თუ თავის თავს თითონ შეინახავს იყოს, მაგრამ ჩვენს ფულს არ დავახარჯებთ. თავ.-აზნ. ფილარმონიულ საზოგადოების დიდ ყურადღებას აქცევს. თუ ქართულ მუსიკის საქმე კარგად წავიდა, თავ.-აზნ. მეტ ყურადღებას მოგვაქცევს.

**თულაშვილი** (რუსულად) სკოლა თავის თავს ინახავს. თავ.-აზ. მოცემული 1000 მან. ნოტებს მოხმარდა. ამ მხრივ გამგეობა საყვედურის ღირსი არ არის. ეს ხარჯი ნოტების შემოსავლით ვერ დაიფარება. მაგრამ ეს არც მიზნად გვქონია. სკოლის პროგრამა საიმპერატორო სკოლებისაა. აქ რასაკვირველია, ქართული არაფერია. ქართული მუსიკა საგუნდო ნომრების შესრულებაშია. ამას კი ვასრულებთ. როიალის ნოტები დაბეჭდილი არა გვაქვს, მაგრამ სასიმღერო ნოტებით როიალის დაკვრა შეიძლება.

**ეპიტაშ.** განმარტავს, რომ საზოგ. აზრი ქართული სიმღერების შეკრებაა. წელს არაფერი გაგვიკეთებია, მაგრამ წინად კი 400 ნომერი ჩავწერეთ. წელს 55 წევრი გვყავს: (მღვ. კარბელაშვილს) ქართველებმა შორეული კრიტიკა ვიცით. თუ თქვენ 4 ხმიანი კილო არ მოგწონთ, ეს გემოვნების საქმეა. რამდენჯერ გთხოვეთ, ეს და ეს გვინდა და მოგვეცით მეთქი, თქვენ კი გვითხარით, თუ ისე იმღერებთ, როგორც მე მსურს მოგცემთო, თუ ვისმეს მუშაობა უნდა, აი საზოგადოება, მობრძანდეს და იმუშაოს, მაგრამ თქვენ კი სადღაც დაარსეთ რაღაც საზოგადოება.

**ბაქრაძე** (რუსულად). პროგრამა საიმპერატორო სკოლებისააო. ქართულ სიმღერებს ვასწავლითო. საქმე სუსტად ყოფილა დაყენებული. პროგრამა ქართული მუსიკით უნდა შეივსოს.

**მაჩაბელი** (რუსულად) საკვირველია, საზოგადოება ღარიბია და ამდენი რამ გაუკეთებია. ეს გამგეობის მეოხებით არის. აქ ნათქვამი მართალია, მაგრამ უფულობა ხელს გვიშლის. ეხლა გამგეობა საყვედურის ღირსი არ არის, ქართული მუსიკა დაუშრეტელი წყაროა, მის შემუშავებას დიდი ფული უნდა. შევეკრათ პირობით ახალ კლუბს. იქ ჩვენი ხორო ვამღეროთ ეს შემოსავალს მოგვცემს.

**ალ. მიქაბერიძე** (სარევ. კომისიის წევრი) ბ. ბაქრაძეს ჰგონია საზოგადოების საქმე ცუდად იყოს და კომისია რასმეს ჰმალავდეს. ჩვენ მხოლოდ ისა ვთქვით, რომ გამგეობა ახლო უნდა ედგეს სწავლის საქმეს.

**ჯავახიშვილი** იმ აზრისაა, რომ გამგეობას ცოტა ფულით ბევრი რამ გაუკეთებია. დანახარჯის აღდგენა კი სალაპარაკო არ არის. სამეცნიერო საზოგადოებანი გამოცემათა დანახარჯის დაბრუნებას არა სცდილობენ. ქართული მუსიკის საქმეს, სხვა საქმესავით, ევოლუცია ელის. ამას უნდა ვცდილობდეთ. სკოლის პროგრამაზე მსჯელობა სპეციალისტების საქმეა, მაგრამ სარევიზიო კომისიის შენიშვნა სწორია. სკოლამ ქართულ გალობა-სიმღერის მასწავლებელნი უნდა აღზარდოს.

**ფალიავშ.** გამგეობას დღე მუდამ ვერ მოვახსენებ თუ როდის რა ვასწავლე. საერთო მსვლელობა საქმისა კი გამგეობას მუდამ მოეხსენება. ის კი, ვითომც მასწავლებელი ქალები გაკვეთილებს აკლდებიანო, ჭორია. ავად-მყოფობა ყველგან შეიძლება. ჩვენ ამ ქალებს გროშებს ვაძლევთ, გულმოდგინედ კი მუშაობენ.

**თავ.** საკითხი გადაწყვეტილია.

**მირიან.** არა! ჩვენ გვინდა, ქართულ სკოლაში ქართული მუსიკა ისწავლებოდეს.

**რჩეულიშვილი** (რუსულად) არა გვაქვს.

**მირიან.** უნდა შევქმნათ.

**რჩეულიშ.** (რუსულად) ერთბაშად არ ინებო. რაც არა გვაქვს როგორ ვასწავლოთ?

**მირიან.** ჩვენ კომპოზიტორებს არა გთხოვთ. ქართული მუსიკა მოგვეცით ბავშვებისათვის.

**თულაშ.** (რუსულად) გაუგებრობაა. როგორ შეიძლება თუ საერთო განვითარება არ გვექნება, სპეციალური რამ ვისწავლოთ მუსიკაში? ქართულ მუსიკის, სკოლის შექმნა შეუძლებელია. ჩვენ რეგენტების აღზრდასა ვცდილობთ. ესენი შემდეგში დიდ სარგებლობას მოიტანენ.

**მღვ. კარბ.** რაც დაწერილია იმას არა ხმარობენ. თხოვნით ერთხელ მთხოვეს.

**თავმჯ.** გაქვთ ნოტები და ცოდნა ეგენი თქვენ არ გეკუთვნით, ეგ საერო კუთვნილებაა. რაცა გაქვთ მოგვეცით და ჩვენც საქმეს გავაკეთებთ.

**მღვ. კარბელ.** რაც მოგეცით ჯერ ის მოიხმარეთ.

**ბაქრაძე** (რუსულად) თულაშვილი მართალს არ ამბობს. აზიის მუსიკა ევროპის მუსიკაში განსხვავდება. თქვენ რეგენტებს ეს განსხვავება ბოლო კურსზე მაინც უნდა გააცნოთ. ეს პროგრამაში უნდა იყოს შეტანილი.

**დალაქიშვილი.** მასალა არა გვაქვს. უცხო კაცი, ქართულ მუსიკის უცოდინარი იქ ვერას გაიგებს. მღ. კარბელაშვილს მასალა აქვს.

**მღვ. კარბ.** სმოლენსკის წერილებს წაგიკითხავთ იქიდან გაიგებთ მაგ მასალის ფასს.

**ფალიაშვილი.** სმოლენსკიმ მითხრა: იქ ეშმაკი ფეხს მოიტეხავსო". თქვენ კარგი მასალა გაქვთ, მომეცით გამოვიყენო.

კრება სთხოვს კარბელაშვილს მასალებს.

**მღ. კარბელაშვილი.** არას მოგცემთ. მომეცით 20 კაცი თქვენი ხოროსი და გაჩვენებთ საქმეს.

კამათი მწვავდება. მირიანაშვილი და მიქაბერიძე თხოულობენ ქართული მუსიკა ასწავლეთო. გამგეობა უპასუხებს: მუსიკა ერთია და სხვა არც შეიძლება იყოსო. ამ კამათმა მოინდომა კრების დიდი ნაწილი. სარევიზიო კომისიის წევრები თხოულობდნენ ქართული ჰანგები ასწავლეთო. ფალიაშვილი ამისათვის ფულსა თხოულობს, ხოლო საეკლესიო სიმღერებისათვის მასალას, რომელიც მღ. ვასილ კარბელაშვილსა აქვს და არ იძლევა. ქართულ ჰანგებს სკოლის პროგრამაში ვერ შევიტანთ, ეს სწავლების სისტემას დაარღვევსო, ამბობდნენ გამგეობის წევრები. ჩვენ მუსიკოსებსა ვზრდითო. რაც შეეხება ქართულ მუსიკას იმას ბოლო კურსზე ვასწავლითო. ეს ადვილი საქმეაო. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ ქართულ პიესების დამწერთ 200 მან. პრემია დაუნიშნეს. ამის შემდეგ განიხილეს 1912 წ. ხარჯთაღრიცხვა. გამგეობას ქართულ მუსიკისათვის 300 მან. გადაედო. კრებამ ამას 200 მან. მიუმატა, და დაადგინა, რომ თავად.—აზ. მოცემულ ფულის ნახევარიც შემდეგში ამ საქმეს მოხმარდეს. დანარჩენი მუხლები ხარჯთაღრიცხვისა უცვლელად მიიღეს. შემდეგ ამისა აირჩიეს გამგეობის წევრების კანდიტატები, რომლებიც, წინად არა ჰყავდათ. კანდიტატებად არჩეულ იქმნენ რჩეულიშვილი და მაჩაბლიშვილი. კრება $12^{1}/_{2}$ საათზე დასრულდა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

8 ივნისი.

**ავსტრია-ჰუნგრეთის ვითარება.**

**ვენა.** 250 ხმით 97 წინააღმდეგ პალატა სამხედრო კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას შეუდგა.

იმპერატორი პოლონელთა კოლოს პრეზიდენტს ლეოს ელაპარაკა და აღნიშნა, უკრაინელებმა და პოლონელებმა მშვიდობიანობა უნდა დაიცვანო.

**ამერიკის ამბავი.**

**ჩიკაგო.** ნაციონალურ კონვენტის სხდომაზე გუბერნატორმა გედლიმ წინადადება შეიტანა, ტაფტის მომხრე დელეგატები გამოვრიცხოთო. რუზველტის მომხრენი დიდის ამბით შეხვდნენ წინადადებას. ერთმა ქალმა გალერეიდან რუზველტის პორტრეტი გადაისროლა. ასტყდა აურ-ზაური. სხდომა შესწყვიტეს. განახლებისას გედლის წინადადება უარჰყვეს და ამის საპროტესტოდ რუზველტის მომხრეები სხდომიდან წავიდნენ.

**ჩინეთის ვითარება.**

**მუკდენი.** მესამე პოლკის ჯარისკაცები ჯამაგირის დაგვიანების გამო აჯანყებულან, აჯანყებულებს დაუწვიათ ბანკის სადგომი და რამდენიმე სახლი.

**შანჰაი.** კანტონის საქმე ძალიან გაჭირვებულია, რადგან პროვინციის მცხოვრებლები დაჟინებით მოითხოვენ ავტონომიას.

**ხანკოუ.** გენერალმა ლიამანქუნმა გარეშე საქმეთა მინისტრს დეპეშა გაუგზავნა. საჭიროა რუსეთი იძულებულ ვყოთ მანჯურიასა და ჩინეთის მიწა-წყალი მიატოვოსო.

**სპარსეთის ამბავი.**

**თავრიზი.** ხოჯაბეკლებმა ხოჯალინელებს მოუწოდეს, რუსების წინააღმდეგ ერთად ვიბრძოლოთო. შაჰსევენების ბელადები შეთანხმებულან და ეხლა ისინიც ერთად იმოქმედებენ ყარაჯაგში.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭომ დაადგინა დიდებულ ხალხის მასწავლებლის განსვენებულ იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის კუბოს გვირგვინით შემკობის ნაცვლად შეიტანოს ერთი თუმანი მის სახელობაზე დაარსებულ სახალხო განათლების ფონდში.

თანახმად ამ დადგენილებისა გახლებთ ერთს თუმანს და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

საბჭოს თავმჯდომარე

გ. რცხილაძე.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული „სახალხო გაზეთის" საშუალებით მოგვცეთ შეძლება, რომ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ მის ბრწყინვალებას პავლე იოსების ძე თუმანიშვილს, რომელმაც ლანჩხუთის ღარიბ უფასო სამკითხველოს შემოსწირა შემდეგი წიგნები: „საქართველოს ისტორია" ჯანაშვილისა, ქართული გრამატიკა მისივე. უმიკაშვილის სახსოვრად. ორი მხატვარი Присоединеніе Грузіи къ Россіи. პოლიტიკური წესწყობილება. დებულება. ივერიის ბიბლიოთეკა № 1, 2, 7, 8, 10 და 11. ღოლატი. შავი სპარტაკი. ზღაპრები. აღდგომა, და ორმოცდა ჩვიდმეტი ცალი ნაკადულის ძველი ნომრები 1906 წ. დაწყებული, ნომრების გამოშვებით, ვიდრე 1909 წ. აგრეთვე მადლობას უძღვნით ლეო იმნაძისას, რომელმაც პირადად მიმართა თავ. პ. თუმანიშვილს და მისგან შემოწირული წიგნები აქვე აღწერილი ჩაგვაბარა სავსებით.

გამგეობის წევრნი **მღ. ი. ქყონია, თეო. სიხარულიძე, ივანე ბარამიძე.**


რედაქტორ-გამომცემელი

ნ. კურდღელაშვილი.



## განცხადებანი

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყველ დღე დილის 9—2 ს. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ. № 1?. სახლი მდივანისა.

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8— ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № ?, ბაბაშვილისა. (?)

სპეციალისტი
**ქართველმა სტუდენტები**
ამზადებენ ეგზამენებისა და განმეორებით გამოცდისათვის საშუალო სასწავლებელთა ყველა საგანში. **მისამართი:** 1) ორბელიანის ქ., № 16. **სტ. ბარნაბიშვილს**, დილ. 10—12 ს., საღ. 5—7 ს. 2) ჩერქეზიშვ. ქ., № 80, სტ. გერასიმაია, დილ. 10—12 ს., საღ. 4—7 ს. (4 508 ?)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი** **შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან**ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

**ექიმი** **პ. არდაზიანი**
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.120).

**ექიმი** **ივ. გომართელი**
მიიღებს ავადმყოფთ დაბა **ბორჯომში** პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.12)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
**მიხ. გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივ. ით. ვერა, ყოღლანოვის ქ. № 20. (წ.—1022—33)

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—105)

**ექიმი** **ე. ვეშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. ნდილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს. ბაქოს ქ., № 12 ს.

**საგურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 311)

**სამუსიკო სკოლისათვის**
**1 სექტემბრიდან რამდენიმე წლით**
**საჭიროა ორი სადგომი**
ექვს-ექვს ან შვიდ ოთახიანი; თუ ორი არა **შეიძლება ერთი მაინც** 1, 2 ან 3 უბანში. პირობების ცნობა შეიძლება სამუსიკო სკოლაში: ტფილისი, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოება: საპიორის ქუჩა სახლი № 18. (3.1301.3)

**ქ. შ. წ-კ. გამავრცელებელ საზოგადოების**
**წლიური კრება,**
ნაცვლად 3 ივნისს არ შემდგარ კრებისა, **დანიშნულია**
**11 ივნისს, ქართულ თეატრში.**
კრება დაიწყება **საღამოს 8 საათზე** და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3.1322.3)

**თ. პ. ი. თუმანიშვილს** გადმოცემული აქვს **300 მან.** საუკეთესო ორიგინალურ პიესის **პრემიისათვის.**

**ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა**
ამით აცხადებს პირობებს პრემიის მისაღებად:
1) პრემიები დანიშნულია ნ. შ. გაბუნია-ცაგარლის სახელობაზე.
2) დანიშნულია ორი პრემია:
ა) 200 მან. **სამ ან ოთხ მოქმედებიანი კომედია.**
ბ) 100 მან. **ორ მოქმედებიანი კომედია.**
3) კომედიების თემად აღებული უნდა იყოს ქართული ცხოვრება.
4) უკანასკნელი ვადა პიესების წარდგენისა—**20 აგვისტო 1912 წ.**
5) პიესა უნდა გამოიგზავნოს, ფსევდონიმით ხელმოწერილი **ქართ. დრ. საზ. გამგ. სახელობაზე ქართულ თეატრში.** იგივე ფსევდონიმი და ნამდვილი გვარი ავტორისა ადრესითურთ უნდა თან ახლდეს გამოგზავნილ პიესას დაბეჭდილ კონვერტში.
6) პრემია მიღებული პიესები ჩაითვლება ქ. დრ. საზ. სრულ საკუთრებად.
(3.1327.2) **ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობა.**

**ნებადართულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან № 9696 1907.**

**„სპერმატინი"**
ი. ნ. ივანოვის საფარმაც. ლაბორატორიისა, მოსკოვში.
**შედგენილია ფრანგ პროფ. ბროუნ-სეკარის მიერ.**
უებარია მოხუც, სისუსტის დროს, სისხლ-ნაკლებულ. მძიმე ავადმყოფ., ნერვებ აშლილ, გონებრივ და სხეულის მოქანცულ., სქესობრივ მოჭარბულობას, ჯანის გატეხას, დამპალ ციების, ძარღვების დადუნებისა, ხერხ. ტვინის გახმობისა, სიდამბლისა, კაცობიდან ჩამოვარდნისა, წყალმანკისა, გულის ცემისა, შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ათაშანგისა, ლოთობისა, კუჭის ყაზზობისა, ქლექისა.

**„სპერმატინისთვის"**
ი. ნ. ივანოვს აურაცხელი სამადლობელი წერილი აქვს მიღებული. გაუფთხილდით სიყალბეს. ბროშურებს უფასოდ ვგზავნით. 1 შუშა ღირს 2 მან. 40 კაპ. ტაბლეტ.—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში ერთად-ერთ წარმომადგენელთან ი. გ. ოქროპირიძესთან, ტფილისი, ლორის მელიქოვის ქუჩა № 6, ეზოში. (30.1316.1)

ეროვნული ბიბლიოთეკა


დოქტორი მედიცინისა

# ი. ე. თიქანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 182)

# ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე**. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ბოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^1/_2$.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-ით.**

(წლ—1018—283.)

# სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ-ქ.ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.— ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი**, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. $1^1/_2$ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლაბდნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა $11^1/_2$—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—$1^1/_2$ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა**, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ჟვად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—1234.14)

# სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსას სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606“-ით.**

(0—1253—68)

# სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. კირტუმოვი.

(თ. 1037.64)

# ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა; კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067)

(100—1117—176)

# ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდ.

(25—1178—50)

ქუთაისი.

# ქუთაისში რკინეულობის სავაჭრო

**სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა**

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252.13)

პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი.**

ქუთაისი

შეიძლება დაკვეთა:

# ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა.**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა, ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში, ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე. ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**

**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.**
**თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.**

**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.**

(3—1153—3)

დაარსებულია 1904 წ.

# სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი

მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

**ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძისა**

# პატარა ცემი

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. **ვ. ლამბაშიძეს, ქ. ტფილისს.**

**მიიღება** დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭაობის ციებით დაავადმყოფებულნი. **არ მიიღება** სიპლექით დაავადმყოფებულნი,

(25.1291.16)

# ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაცი: ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავად. ყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $1^1/_2$—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| სადოსტაქ. ქირურგ. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშობია. ქალ. სნეულ. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $12^1/_2$—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კბ. ექ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.37)

საბანკო სახლი „ლ. ვ. ლანდაუ“ და ამხ.,

# კავკასიის სააგენტო,

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, № 65, ტელეფ. 11—77.

**1 შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთის დაზღვევა გაბათილებისაგან, რომელიც უნდა 1 ივლისს მოხდეს.** 12 მან. 25 კ.

(5.1324.1)

**ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულია**

# ს. პეტერბ. საპოლიტეხნიკო კურსები

**ტ ე ხ ნ ი კ უ მ ი (ორთავე სქესისათვის)**

**ამხ. პროფესორთა და მასწავლებელთა.**

დაარს. ტექნოლ. ინსტ. პროფესორ. გ. ფ. რეპპოსა, მ. გ. ევანგულოვისა და ი. მ. ხოლმოგოროვის მიერ. რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფ დ. მ. ლევშინისა და ინჟენ. ტეხნ. ნ. დ. ფოლაქოვის მიერ განყოფილებანი: სამექანიკო, საელექტროტექნიკო, საამშენებლო, საკომერციო-საეკონომიო. მოწყობილია საგანგებო სადგომი, ლაბორატორია და კაბინეთი. მსმენ. შეუძლიანთ იმუშაონ სახელოსნოში. უმაღ. სასწავ. მისაღები ცენზი—სამოქალაქო სასწავლებელი ან საშუალო სასწავლებლის 4 კლასის მოწმობა. პროსპ. იგზავნება ხუთ 2 კაპ. მარკის გაგზავნით. იქვე ცნობები **ელექტრომოტორების კურსებისა.** С. Петербургъ, Разъѣзжая ул., № 40, телеф. 142—19.

Метцль 89541. (4—1317—1)

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. ნ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.7)

# ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს, დიდი მთავრის ქ. № 67, სახლი სვანიშვილისა.

**!!! გ რ ც ხ ვ ე ნ ო დ ე თ !!!**

თქვენი ტანისამოსი სულ ლაქებშია მოთხვრილი, მაშინ როდესაც შეიძლება სრულებით გაასუფთაოთ მხოლოდ იყიდეთ ლაქის ამომყვანი **კ რ ე მ ი**

АВТОМАТИЧЕСКИЙ ПЯТНОВЫВОДИТЕЛЬ ... ЛЮДВИГА КЕРМАНЪ. БЕЗЪ ТРУДА МЫТЬЯ, ЩЕТОКЪ И ЗАТРАТЫ ВРЕМЕНИ. 30 и 35 К. ВЫВОДИТЪ ВСѢ ПЯТНА ИЗЪ ЛЮБОЙ ТКАНИ.

**ყოველთვის სუფთად იქნებით.**

იყიდება მხოლოდ კავკას. საღვთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხ. მაღაზიებში: ტფილისში, ბაქოში და ბათომში. (10.125—3)

**იყიდება ლიმონადის ქარხანა**

# „შვეიცარია“

**✦ ნაძალადევში ✦**

მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივართ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ., № 3, კავთიაშვილს.** (25—492—10)

# გამოცდილ

**მასწავლებელ ქალ-ვაჟთა ჯგუფი,** რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს საპედაგოგიო სწავლა დასრულებულნი, ამზადებს ქალ-ვაჟთ ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისათვის:** სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, საგრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და საბებიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლად,** აფთიაქის სამოწაფოდ და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

**მიმართეთ:** 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის. 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი, № 9, კოლიუჯნის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე. (25—12 5—8)

# ქალაქის

**სააუქციონო ზალა.** (ველიამინოვის ქ.) მოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად** და აგრეთვე **შესანახად.** მიღებულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცვლელად 20% ი, ხოლო შენა-9—3 ფასად აიღებს 2%-სა. დღისით ხვის საათამდის. (25.421.12)

# ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос- Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100.1231.9)

# ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ყვარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—78)

**თევზის მრეწველნი**

# ძმ. ძეგველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

**სასწრაფო დეპეშა ამერიკიდან. გადაუჯდომლად ამერიკაში. კოველიდან ამერიკამდე 12 დღეში.** საუკეთესო და უსწრაფესი საფოსტო-სახალხო გემები გემთ-ამგებ ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი: უმავთულო ტელეგრაფი, ელექტრონის განათება, ჰაერის საწმენდი და სხვა, ფართე სასადილო, ჭამა დღეში ოთხჯერ, მუსულმანთათვის შესაფერი საჭმელები, საკუთარი ფართე ტახტები, მგზავრთა სურვილისამებრ ცალკე კაიუტები, ყოველ დღე ახალ-ახალი ამბები უმავთულო ტელეგრაფით, მუსიკა და მთელი მოგზაურობის დროს გართობა, გაზეთები და ბიბლიოთეკა.

**საზღვარ-გარეთის პასპორტი ღირს 17 მ. 50 კ.** ჩვეულებრივ პასპორტს და სოფლის საზოგადოების განაჩენს, საბოქაულოს უფროსის მიერ შემოწმებულს, რომ საზღვარ-გარედ წასასვლელად არა გაბრკოლებთრა. თუ პასპორტს დააბრუნებთ ფული უზრუნველყოფილია.

**საგანგებო ცნობა.** ვიწვევთ ინტელიგენტ აგენტებს ჯამაგირით ან საკომისიო ჯილდოთი.

ყოველგვარს ცნობებს ვიძლევი უფასოდ, **კოველის სააგენტო აღმოსავლეთ-აზიის გემთ მიმოსვლისა.**

**ბ. კოველი,** ვოლინის გუბერნია.

Метцль 81317. (4.1267.4)

**სილამაზესა და სინორჩეს აძლევს ყოველ ქალის სახეს!**

# კრემი აზიმი

მეტამორფოზა

Метцль. 36770.




**ძირიანად სპობს ფერი-მჭამელას, ჭორფლსა, მზის ნამწვს, ძიძებს, ნაოჭებსა და სხვა ნაკლს სახისას.** (3.1305.2)

# ცინკოგრაფია

**ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ**

# კლიშეების დამზადებას,

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.3)

**ხელოვნურად შეზავებული**

# სამკურნალო და ხილეულოვის წყალი

# მიტროფანე ლაღიძე და ამხ<sup></sup>სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში — პუშკინის ქუჩა № 6.**

(25.1160.25)

# იმერული შამპანიური ღვინოები,

**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში,

**„კოლხიდა“ და „თამარა“**

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

**1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში და**
**2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ზერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.166.19)

ქუთაისში

# ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ყოველთვის გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ქაშანურის (ქაშან) ჭურჭელი, საუცხოვო ბროლისა და მინის საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კასტრულები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, კეროსინკები და ყოველგვარი სოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლის (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, სოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველ-გვარი საუკეთესო შკაფები, ინგლისისა და ვარშავის კრაოტები, დოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები, მაგიდის კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, ყოველ-ნაირი სიმები, პატე-გრამოფონები, გრამოფონები და მათი ფირფიტები, პიანინო-როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები და მათი მოწყობილებანი. ორთქლ-მრეცხავები (პარომოიკი) ახალის სისტემისა და საეკლესიო მოწყობილება. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთაის. და ბათომის გუბერნიისა გვაქვს წარმომადგენლობა: **საწერ. მანქანა „ტორპედოსი“.** ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ.1236 22)

ქუთაისში